№ 40

1877—1905

№ 40

ოთხშაბათი, 30 მარტი

ოთხშაბათი, 30 მარტი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. 50 კაპ., თვეში 1 მანეთი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელ წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ტელეფონი № 922.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1905 წ. გამოდის ყოველ-დღე

წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 მარტიდან წლის დამლევამდის 8 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

ც ი რ კ ი ძ მ. ნ ი კ ი ტ ი ნ ე ბ ი ს ა.

ოთხშაბათს, 30 მარტს, დიდი წარმოდგენა იქნება 3 განყოფილებად.

სხვათა შორის, გაიმართება **ორი** კავკასიური **ჭიდაობა**. ცნობილი ფალავანი **ჯიბგირი** დაეჭიდება გორელ ცნობილ ჰერკულეს ფალავან **ივანე ნასყიდას ძე ქრისტიაშვილს**. ჯილდო—ვერცხლის საათი. მეორედ იჭიდავებს პეტროვსკიდან მოსული უძლეველი ფალავანი **ალექსი აივაზოვი** ცნობილ კავკასიელ ფალავან **გიორგი დვალთან**. ჯილდო ვერცხლის საათი. დასასრულ კომიკური პანტომიმა. დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყისი საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზე. 1—1

რედაქციისაგან

მოვაგონებთ ჩვენს ხელის მომწერლებს, რომელთაც გაზეთის ფასი ნაწილ-ნაწილად შემოაქვთ, დააჩქარონ ხვედრი ფულის გამოგზავნა. ვინც ამ თვის დამლევამდის ხვედრ შემოსატანს არ წარმოადგენს, გაზეთი პირველი აპრილიდან აღარ გაეგზავნებათ.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი ამით აუწყებს გუბერნიის თავად-აზნაურთ, რომ ხუთშაბათს, 31 მარტს, დილის 11 საათზე, თავ. ქობულაშვილის სახლში (გრიბოედოვის ქუჩა. არშაკუნისეული სახლი), მოჰხდება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა

საგანგებო კრება.

განსახილველი საგნები კრებისა:

1) უქვეშევრდომილეს ადრესის მირთმევა **მის იმპერატორებით უდიდებულესობის, ხელმწიფე იმპერატორისთვის**.

2) განხილვა და შემუშავება ღონისძიებათა ტფილისის გუბერნიის მიწათ-მოქმედთა დასამშვიდებლად. (3—6—3)

ტ ფ ი ლ ი ს ი ს

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

მ. ი. ჭიჭინაძე. კბილის—8—9 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი. ოთხშაბ. 9—10 საათამდე და კვირაობით 9—11 საათ.

ა. ი. გალარჯიშვილი.—ბავშვებისა $9^{1}/_{2}$—$10^{1}/_{2}$ ს.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.

მ. მ. მანსვეტოვი.—შინაგ. და ბავშვ. 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი და ნერვებისა 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ქ. ნ. დიასამიძე. — ვენერიული და კანისა $12^{1}/_{2}$ $1^{1}/_{2}$ საათ.

ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.

ს ა ღ ა მ ო ს:

ს. ი. ვაჩაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით, კრავატები დღეში ღირს 2-დან სამ მანათამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი), სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

მ. ყ ჩიქოვანი—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—$1^{1}/_{2}$ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—$1^{1}/_{2}$—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

კ. ა. არდაზიანი—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულ გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს, (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана.**

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ი ვ ა ნ ე პ. ა ხ ა ლ შ ე ნ ი შ ვ ი ლ ი

გადავიდა: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 13.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაწაძე სფირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოხუბეის ქუჩა, № 19.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

სატერიტორიო სტუმართ-მოყვარეობა.

ჩვენის გაზეთის დღევანდელ ნომერში მკითხველი ნახავს ბ-ნ ა. ქალანთარის წერილს, რომელიც ჩვენს საპასუხოდ არის დაწერილი და ფრიად საყურადღებო საკითხს შეეხება.

2 მარტს ბ-ნმა ა. ქალანთარმა სამეურნეო საზოგადოებაში მოხსენება წაიკითხა სოხუმის ოლქში თამბაქოს მოყვანის შესახებ და ამ მოხსენებაში ის აზრი გამოთქვა, რომ შავი ზღვის პირად ოსმალეთიდან დროებით გადმოსახლებული 30 ათასი სომეხი, რომელთაც იქ თამბაქო მოჰყავთ, მთავრობამ, ადგილობრივ სამეურნეო კულტურის ასამაღლებლად, ეხლაც, ვადის გასვლის შემდეგ, უნდა დასტოვოს სოხუმის ოლქშივე და ოსმალეთში გადასახლება არ უნდა აიძულოსო. ჩვენმა გაზეთმა ამ მოხსენებისა და შუამდგომლობის შესახებ მაშინვე გამოსთქვა თავისი აზრი და გამოაცხადა, რომ უცხო ქვეყნებიდან კავკასიაში ხალხის გადმოსახლებისა ან კერძოდ საქართველოში უცხოელთა დასახლების მომხრე ვერას დროს ვერ გავხდებით და ამ შემთხვევაში ბ-ნ ა. ქალანთარსაც ოსმალეთის სომხებისათვის მხარს ვერ დავუჭერთო. ამ აზრის წინააღმდეგ არის მიმართული პატივცემულ „მშაკ“-ის რედაქტორის დღევანდელი წერილი.

რა თქმა უნდა, ჩვენ კრიტიკა არ დაგვიძრავს ბ-ნ ა. ქალანთარის სალიტერატურო და საზოგადოებრივ მოღვაწეობის შესახებ და ამიტომ მისი წერილის ის ადგილები, სადაც ავტორის ამგვარ მოღვაწეობასა და ამ მოღვაწეობის განსაზღვრულ მიმართულებაზეა ლაპარაკი, ჩვენს ნაწერს სრულიად არ შეეხება და ამიტომ არც არაფერს არღვევს. ჩვენ ყოველთვის დიდის მორიდებითა და პატივისცემით ვეპყრობით ყოველ პატიოსან მოწინააღმდეგეს და კერძოდ ა. ქალანთარიც პატივისცემით მოვიხსენიეთ.

მაგრამ პატივისცემა არ უშლის, რასაკვირველია, აზრისა და პრინციპების სხვადასხვაობას. ჩვენსა და ბ-ნ ქალანთარს შორის აქ აღძრულ საკითხში ძირითადი განსხვავებაა და დღესაც,—მისი განმარტების შემდეგაც,—ვერა ვსცნობთ შესაძლებლად მის აზრს დავეთანხმოთ და ავტორს იდეიური სოლიდარობა გამოვუცხადოთ.

30 ათასი სულის დასახლება ისეთ პატარა ტერიტორიაზე, როგორიც ჩვენ გვიქირავს, ისეთი მცირე საგანი არაა, რომ მისი მნიშვნელობა მხოლოდ თამბაქოს კულტურის მხრით განვსაჯოთ და ხალხოსნური საკითხი მხედველობაში არ მივიღოთ. ბ-ნი ა. ქალანთარი ამ გადმოსახლებას უბრალო სტუმრობად სთვლის და ადგილობრივ მკვიდრთ სტუმართ მოყვარეობას უქადაგებს. ცხადია, ასე მარტივი რომ იყოს საგანი, ჩვენც სტუმართ მოყვარეობის წინააღმდეგნი არ ვიქნებოდით და მოხსენებაზე საწინააღმდეგოს არაფერს ვიტყოდით.

მაგრამ საქმე ისაა, რომ საგანი უფრო რთულია, ვიდრე ერთის შეხედვით მოსჩანს. ეს პრინციპიალური საკითხია და ჩვენც სწორედ ამ მხრით შევხედეთ ამ საგანს.

არც ერთ ხალხს არ შეუძლიან უტერიტორიოდ ხალხოსნური ცხოვრება და ეროვნული განვითარება. ამიტომ შეიძლება კაცი სულითა და გულით მთელის კაცობრიობის მოყვარული და კეთილის მსურველი იყოს, არც ერთ უცხო ერს არა მტრობდეს, არავინ სძულდეს, მაგრამ იმავე დროს თავის ეროვნულ თვით-არსებობის გულისთვის თავის მიწა-წყალს იცავდეს და იმის შენარჩუნებისათვის ზრუნავდეს. ჩვენ იმ წერილშიაც ვამბობდით, რომელსაც ბ-ნ ა. ქალანთარის «პასუხი» შეეხება, რომ ადგილობრივ მკვიდრ სომხობას ქართველებისაგან არ ვარჩევთ და სრულიად ბუნებრივად და, უფლების მხრით, კაკონიერად მიგვაჩნია, ქართლ-კახეთის სომეხი ვლეხი, მაგალითად, იმერეთში გადავიდეს, იქ ნადელი მიიღოს ან უნადელოდ დასახლდესო. მიგვაჩნია ეს კანონიერად, რადგან იმ პრინციპს ვადგივართ, რომ საქართველოს ფარგალში ისტორიულად ერთად მცოვრებ ქართველობასა და სომხობას შორის თანასწორი უფლება უნდა იყოს აღიარებული.

მაგრამ სულ სხვაა, როცა ამ მცირე ტერიტორიაზე გარეშე სახელმწიფოდან უცებ მრავალი ხალხი შემოდის და მკიდრო მოსახლეობას იჩენს. აქ გვგონია, ჩვენ შეგვიძლია არა ვსცნოთ ის უფლება, რომელსაც მკვიდრ სომხობის შესახებ საჯაროდ ვაღიარებთ. ის „დროებით“ გადმოსახლებული ხალხი რამდენსამე წელიწადში მკვიდრ ბინას იჩენს და ამგვარად ადგილობრივ მცხოვრებთათვის მიწას ამცირებს. ამასთან, ვინ იცის, იქნება, რამდენისამე წლის შემდეგ, გამოჩნდეს ბ-ნ გ. თ-ის მსგავსი კაცი, რომელმაც, დასახლებულთა გვარ-ტომობის მიხედვით, ტერიტორიის ეროვნულ „განაწილებაზედაც“ იწყოს ლაპარაკი...

ერთის სიტყვით, ეს საკითხი მარტივი არ არის და ისე „ლიბერალურად“ ვერ გადიჭრება, როგორც ამას ბ-ნი ა. ქალანთარი ჰლამობს...

ამიტომ ამ საგანს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით და მის გარკვევას ერთ ვრცელ წერილს ვუძღვნით.

სოხუმის ოლქში მეთუთუნეთა დასახლების გამო.

(წერილი რედაქციის მიმართ)

შემაწუხა გაზ. „ივერიის“ № 18 მეთაურში გამოთქმულმა საყვედურმა იმ მოხსენების გამო, რომელიც მე წავიკითხე სამეურნეო საზოგადოებაში.

ეს საყვედური ან ბრალდება ჩემსა და იმათ შესახებ, ვინც თანაუგრძნობდა ჩემ მოხსენებას, არ არის დამყარებული ფაქტებზე და ამიტომ შემცდარიც არის, მით უფრო საწყენი, რომ ძალა-უნებურად შეაფერხა ის სამართლიანი საქმე, რომელსაც მე ვემსახურებოდი ჩემ მოხსენებაში.

„ივერიამ“ ჩემ მოხსენებაში რაღაც წინად განზრახული მიზანი ნახა, მიზანი, საზარალო იმ ძმობა-ერთობისთვის, რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში დიდის ამბით გამოსთქვეს ქართველებმა და სომხებმა.

ეს საყვედური მით უფრო საწყენი უნდა ყოფილიყო ჩემთვის, ვინაიდან მე ყოველთვის დიდ ყურადღებას ვაქცევდი ერთა სოლიდარობას და ჩემ სამწერლო და საზოგადო მოღვაწეობის ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად ყოველთვის დამისახავს სოლიდარობის ქადაგება და მისი განხორციელება კავკასიაში. ამას ვქადაგობდი არა მხოლოდ ისეთ დროს, როგორიც ეხლანდელია, როდესაც ჰაერი სავსეა ამნაირ სიტყვებით, როდესაც ამ სიტყვებს მხოლოდ სახელისა და სიმპატიების მოსაპოვებლადაც იმეორებენ ზოგიერთები, არა, ისეთ დროშიაც ვადექი ამ აზრებს, როდესაც ჩემი ხმა რჩებოდა ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა, როდესაც ვერ ვხედავდი თანაგრძნობასაც, როდესაც, პირიქით, ყოველ მხრიდან მესმოდა ათასნაირი ბრალდება სომხების საიდუმლო მიზნების შესახებ. იმ დროს, როდესაც უწინდელი, ძველი „ივერია“ ჰბეჭდავდა დაუსრულებელ სტატიებს სომხთა ჯოჯოხეთურ მიზნების შესახებ, მე და ჩემი თანამშრომლები ყოველთვის ვარჩევდით ისევე გაჩუმებას ჩვენ გაზეთ „მშაკში“, ან ისევე ძველებურად ვურჩევდით ყველას სოლიდარობას ან სომხების სხვადასხვა შეცდომისა და ნაკლულოვანების გამომჟღავნებას ვუნდებოდით. ასეთი იყო ჩემი და ჩემ ამხანაგების პოზიცია.

იკითხავთ, რატომ ვიყავი გაჩუმებული?

იმიტომ, რომ არ თანავუგრძნობდი ამ კამათის და დაბრალების ხასიათს, რომ საზოგადოდ უნაყოფოდ და საშიშად მიმაჩნდა ეროვნული ქიშპობა, ვინაიდან ვიცოდი კარგად, რომ ამ ქიშპობას ყოველთვის რამე უსიამოვნება მოჰყვებოდა. მე ვარჩევდი ზოგიერთ საყვედურზე გაჩუმებას და ისევე განვაგრძობდი სოლიდარობის ქადაგებას გაზეთში. ასეთი იყო ჩემი და ჩემ ამხანაგების პოზიცია.

ახლაც, როდესაც ბაქოში მომხდარ ხოცვა-ჟლეტის ამბავმა მოაღწია ჩემამდის, პირველივე ჩემი წერილი სოლიდარობის იდეის შესახებ დავბეჭდე. ჯერ არ გაცივებულა უბრალოდ მოკლულ სომხთა სისხლი, ჯერ არ ჩამქრალა ცეცხლი, და მე ვიკავებდი თავს, ცრემლს ვიკავებდი და ისე ვწერდი მეთაურს „უბედურ გაუგებრობის“ შესახებ და ძმობა-ერთობისკენ ვიწვევდი ორივეს.

სწორედ ამ ერთობა-ძმობის შესახებ ვლაპარაკობდი გ. წერეთლის საფლავზე და იმ მილოცვაში, რომელიც ქართველ პოეტს ბაქრაძეს ვუძღვენი,—აგრეთვე ყოველთვის, როდესაც მქონია ქართველებთან სხვა რამე საქმე, როდესაც სამეურნეო საზოგადოებაში მოვუყარე თავი ცხვრის მომშენებლებს და შევიმუშავე წესდება ამხანაგობისა, რომელსაც ჰქონდა მიზნად შუაკაცების ჩამოშორება, ამ საქმეში ჩემთვის არ შეუშლია ხელი იმ გარემოებას, რომ ეს შუაკაცები უმეტეს ნაწილად სომხები არიან. როდესაც ამ თორმეტი წლის წინად ტფილისის საბჭოს ხმოსნად ამომარჩიეს,—ერთი იმ ახალგაზდა სომეხთაგანი ვიყავი, რომელთაც არჩევის შემდეგ განაცხადეს ხმოსნობაზე უარი, პროტესტის ნიშნად, იმ პრინციპის გამოსაცხადებლად, რომ სომხებმა და ქართველებმა ერთმანეთს არ უნდა მოუშალონ ხელი და სხვისი ადგილი არ უნდა დაისაკუთრონ.

ჩემ მრავალ წერილთაგან სოლიდარობის შესახებ აქ ბევრი ციტატაც შემეძლო მომეყვანა, მაგრამ ამის ნებას არ მაძლევს ამ წერილის ხასიათი და ახლა საამისო დროც არ არის. სხვა დროს, როდისმე შეიძლება, ისევე დავუბრუნდე ამ საქმეს.

აი, ამნაირ ცხად, სისტემატიურ მოქმედების შემდეგ დღეს ახალ ლიბერალ „ივერიისაგან“ მესმის უსაფუძვლო საყვედური, ვითომც მე ვეცადე ახლა ძმობა-ერთობის წინააღმდეგ გამელაშქრა.

ბრალდება რომ სამართლიანი იყოს, საჭიროა გარკვეული და დასაბუთებული საბრალმდებლო პუნქტები ჰქონდეს მით უფრო მაშინ, როდესაც ბრალდებას საზოგადო ხასიათი ეძლევა და როდესაც ამ ბრალდებით ჩირქს სცხებენ მთელ სომხურ ინტელიგენციასაც.

როდესაც ჩემ მოხსენებისთვის მასალას ვაგროვებდი, როდესაც სალიტერატურო მასალას ვეძებდი, როდესაც ვკითხულობდი ჩემ მოხსენებას სამეურნეო საზოგადოების კრებაში, არ ვიცოდი არც ერთი საბუთი, რომლის გამო უნდა მეთქვა უარი მოხსენებაში გამოთქმულ აზრებზე.

საზოგადოების კრებაზე პირველად მოვისმინე ერთი საბუთი. ეს იყო ბ. რცხილაძის პირობითი საბუთი, საბუთი, რომელიც არ არის დამყარებული ფაქტებზე, არც ერთ ნამდვილ საჩივარზე, საბუთი, რომელიც უფრო წააგავდა შეკითხვას,—ოსმალოს ქვეშევრდომ მეთუთუნეთა დატოვებით შავი ზღვის პირას ხომ არ დავუშლით იქვე დასახლებას მეზობელ უმიწაწყლო გლეხებსო.

ეს იყო პირველი და უკანასკნელი შეკითხვა, რომელიც მომისმენია დღემდის. კრების დროს ვუპასუხე, რომ მოხსენებაში სწერია მხოლოდ და მხოლოდ კერძო ადგილების შესახებ, და არა სახაზინოს შესახებ, ე. ი. მხოლოდ იმ ადგილებზე, რომელსაც კერძო შეთანხმებით შეიმუშავებს ყველა მსურველი. სახაზინო ადგილები კი რჩება თავისუფალი ამათ დასახლებისაგან და ამიტომ შესაძლოა დარჩეს, როგორც ადგილების **ფონდი** უმიწაწყლო გლეხობისთვის, და რომ გადმოსახლებულთა შესახებ, რამდენად ვიცი, ადგილობრივ მკვიდრთა შორის არავითარი ეჭვი არ დაბადებულაო დღემდის.

რა უნდათ გადმოსახლებულ მეთუთუნეებს? ეს უმთავრესი კითხვაა.

გადმოსახლებულთა სურვილია,—სამშობლოში დაბრუნდნენ. დღემდის ოსმალოს ქვეშევრდომები არიან, ვინაიდან მათ არა აქვთ სურვილი დარჩნენ სამუდამოდ შავი ზღვის პირზე. ესენი სტუმრები არიან და იმ დღეს ელიან, როდესაც დამშვიდდება მათი სამშობლო და შეეძლებათ შინ დაბრუნება.

ესენი დასახლდნენ ჩვენსას ისეთ ადგილებში, რომელიც უნაყოფოდ იყო დარჩენილი, დაუსახლებელი, ტყეებითა და ბუჩქნარით დაფარული. ამათ ადგილი არავისთვის არ წაურთმევიათ, პირიქით, თვითონ მოიმზადეს თავისთვის ადგილი. მე არ გამიგონია, რომ ადგილობრივი მკვიდრი ხალხი მათი წინააღმდეგი ყოფილიყო, ასეთი საყვედური ახლაც არ მესმის. თქვენც ხომ არავითარ ფაქტებს არ იძლევით. გამიგონია მხოლოდ ერთი, რომ მეთუთუნეები სასარგებლო ელემენტია და რომ ყველანი მათი კმაყოფილნი არიანო. და მთავრობას ახლა თუ უნდა მათი გადასახლება, იმიტომ კი არა, ვითომც ისინი მავნებელი ყოფილიყვნენ ვისთვისმე ან ადგილს ართმევდნენ, არამედ იმიტომ რომ მას არ უნდა იყოლიოს მრავლად შავი ზღვის უცხოელი ელემენტები.

ჩემგან წაკითხულ მოხსენებაში მე განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდი იმ გარემოებას, რომ გადასახლებულთა მოქმედება სასარგებლოა და რომ ჩვენი ქვეყნისთვის კულტურის მხრივ აუცილებელი საჭიროც არის, და არ მინდოდა, რომ დაღუპულიყო მეთუთუნეობა, რომელსაც შავი ზღვის პირას დიდი წარმატება დაეტყო.

სულ სხვა იქმნებოდა, მე რომ მომეთხოვა გადმოსახლებულთათვის **სახაზინო** ადგილების მიცემა, იმ ადგილების, რომელიც წარმოადგენს მიწის **ფონდს** უადგილ-მამულო კავკასიელ გლეხთათვის. არა. ასეთი წინადადება არ წარმომითქვამს,—და ამ ჟამად ამას არც ითხოვენ გადმოსახლებულნი. ისინი თხოულობენ მხოლოდ იმას, რომ დასტოვონ ზღვის პირას, რომ არ გადაასახლონ იქიდან, რომ მიეცეთ ნება დარჩნენ იმ ადგილებში ისე, როგორც ჩვენ ვაძლევთ ნებას სპარსეთის ქვეშევრდომ „ჰამშარებს“, გერმანელ, იტალიელ და სხვა ქვეყნის ქვეშევრდომ მუშებს, ისევე, როგორც იღებენ ამათვე ამერიკაში, ბულგარიაში, ეგვიპტესა და სხვაგანაც.

იმერლები ჩვენს დროში თუ გადადიან ყირიმში, სამხრეთ რუსეთში სამუშევარზე, იქ ადგილს იღებენ იჯარით ან რამე მუშაობას იღებენ გასაკეთებლად, ნუ თუ გვაქვს უფლება მოვითხოვოთ მათი გადასახლება იქიდან? ასმა ან ათასმა ქართველმა რომ მოისურვოს კერძო პირისაგან ადგილის იჯარით აღება ყუბანს ან ნახიჩევნის მაზრებში, ან თვით სპარსეთშიაც,—ან მუშებად რომ დადგნენ, ნუ თუ შეგვიძლია მათი გადასახლება ვითხოვოთ აქედან? მე მგონია, ეს რომ გვექნა, დიდი უსამართლობა იქმნებოდა უთუოდ, რომ მოგვეთხოვა ასეთი რამე.

ამჟამად ლეკები მრავლად ჩამოდიან სამუშაოდ მთებიდან ყუბას მაზრაში, შემახას, განჯის მიდამოებში და ამიერ-კავკასიის სხვა ადგილებშიაც. ბაქოში გვყავს ყველა ადგილების ხელოსნები და მუშები, მაგრამ დღემდის არავის არ მოსვლია აზრად ამაზე რამე წინააღმდეგობა გაუწიოს მათ გადმოსახლებას.

კარგად ვიცით, რომ ამერიკაში ჩინეთის კულიების შესახებ იყო აღძრული ლაპარაკი. მაგრამ ეს ერთი იმ სამწუხარო საკითხთაგანია, რომელიც საერთაშორისო და ცივილიზაციის მხრივ საუბედურო და საწყენ საკითხად ითვლება. და დროგამოშვებით ასეთი საქმეები ხდება ისეც **გამონაკლისით, როგორც აუცილებელი რამე.** ეს კანონი როდია—ეს არის გამონაკლისი და, თუ გვინდა ამ გამონაკლის მივმართოთ აქაც საჭიროა, გვქონდეს შესაფერი გარკვეული განსაკუთრებული ეკონომიური მიზეზი. და რამდენადაც ვიცი, შავიზღვის პირის კერძო მამულებზე კიდევ ბევრია თავისუფალი ადგილი და აქ დღემდის ადგილის სიცოტავე კი არ იყო, არამედ, მშრომელ ხალხის სიცოტავე და ამიტომ თქმაც არ უნდა, რომ არავითარი ლაპარაკი არ შეიძლებოდა „კროების“ შესახებ.

თქვენ არ იძლევით სხვაგვარ ფაქტებს და არ მოგყავთ ჯეროვანი საბუთი, რომელსაც შესძლებოდეს იმის დამტკიცება, რომ არ უნდა დამეცვა ის, რაც მე თვითონ მიმაჩნდა სამართლიანად. ახლაც თქვენი წერილი რომ წავიკითხე, არ შემიძლიან შევიცვალო აზრი და პოზიცია. მართალია, ალმძრა ერთი სურვილი, ხელახლად ვკითხო მცოდნე პირებს, ხომ არ შეუმჩნევიათ მათ მეთუთუნეთა რამე მავნებელი გავლენა, რომელიც ჩემთვის დღემდის უცნობი დარჩა.

ყოველ შემთხვევაში ჩემი მოხსენების ხასიათი

და დედა-აზრები არ იძლეოდნენ საბუთს იმ ბრალდებისთვის, რომელიც გამოსთქვა „ივერიამ", ვითომც მე ჩემი მოხსენებით შემეფერხებინოს ძმობა-ერთობის განხორციელება.

ნუ თუ სხვანაირად უნდა მოვქცეულიყავი? ნუ თუ სამეურნეო საზოგადოებას სხვა რამე გადაწყვეტილება უნდა მიეღო და არა ის, რომელსაც დაადგა 2 მარტის სხდომაზე?

„ივერიის" მეთაური ყრუდ გადაჰკრავს იმასაც, ვითომც სამეურნეო საზოგადოების კრებაზე მხოლოდ ერთი აზრის წევრები ყოფილიყვნენ მოწვეული. ეს საყვედური ეროვნებას თუ შეეხება,—სინამდვილე წინააღმდეგს გვეუბნება: დებატებში მონაწილეობას იღებდა ხუთი სომეხი, ჩემს გარდა, და რვა არა-სომეხი, ამათში ექვსი ქართველი, და კრების უმეტესობა ბოლოს თუ ერთ აზრს დაადგა, ეს მოლაპარაკებისა და საკითხის გარკვევის შედეგი იყო.

„ივერია" აცხადებს,—გურულებს შავი ზღვის პირას დასახლება აკრძალული აქვთო. თქმა არ უნდა იმას, რომ ასეთი აკრძალვა თუ არსებობს, მხოლოდ სახაზინო ადგილებს ეხება და არა კერძო ადგილებს, რომლის იჯარით აღება არ შეუძლია ყველას. ეს განკარგულება, უეჭველია, ყველა კავკასიელს ეხება და არა მარტო გურულებს. და ყოველ შემთხვევაში ეჭვი არ უნდა იმას, ვინმე მცოდნე პირს რომ წაეკითხა სამეურნეო საზოგადოებაში მოხსენება შავი ზღვის პირზე გურულების დასახლების შესახებ, მეც შევიქნებოდი ამ აზრის მხურვალე მომხრე. თათრის ქვეშევრდომ მეთუთუნეთა სურვილები მიმართულია კერძო, საჯარო ადგილებისკენ და არა სახაზინო ადგილებისკენ.

შეიძლება, შემდეგ ამ საქმეში გამოჩნდეს რომელიმე არა სასურველი მოვლენა, რომელიც შესცვლის მის გადაწყვეტასაც,—ეს არ ვიცი,—ეს მომავლის საქმეა.

ჩემთვის ცხადია მხოლოდ ის, რომ მართლა და გულწრფელად ვემსახურებოდი სიმართლეს და ხელი შევუწყვე დიდ უბედურების თავიდან აცდენას, ვინაიდან 1 აპრილს უნდა გათავებულიყო შავი ზღვის პირას თათრის ქვეშევრდომთა დარჩენის ვადა; ამ ვადის შემდეგ უნდა აყრილიყვნენ და საჩქაროდ გასულიყვნენ საზღვარ გარედ, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა გადასულიყვნენ ჩრდილო გუბერნიებში, როგორც უმაღლეს ბრძანებაში იყო ნათქვამი. შინ დაბრუნება კი, რომელიც საბოლოო მიზნად აქვს დასახული გადმოსახლებულებს, არ შეუძლიათ, ვინაიდან ოსმალეთის მთავრობა მათ უკან არ იღებს და, რომ ცდილიყვნენ შეპარვას, ისეთივე უბედური დღე დაადგებოდათ, როგორც იმ სომხებს, რომელნიც დახოცა ყარსისა და სურმალინის საზღვარზე გადასვლის დროს იქაურმა ჯარმა.

თუ დავთანხმდებით, რომ ჩემ მოხსენებას მართლა რამე კარგი შედეგი მოჰყვა, რაში უნდა ვეძებოთ იგი? მშრომელი ხალხი თავის ადგილას დარჩა, მანამ მათ არ მიეცათ შინ დაბრუნების უფლება, მეურნეობა არ დარღვეულა, არ მოსპობილა მეთუთუნეობა, რომელსაც მოაქვს ყოველწლიურად 10 მილიონ მანათის საღირალი 1 მილიონი ფუთი თუთუნი, და ჩვენც შევასრულეთ ჩვენი ზნეობრივი მოვალეობა იმათ შესახებ, ვინც ეძებდა ჩვენგან მფარველობასა და დახმარებასაც. ნუ თუ ყოველივე ეს ცუდია?

ვფიქრობ, რომ ჩემ მოხსენებაში არა მარტო მეთუთუნეობის ინტერესებს ვიცავდი, არამედ ზნეობრივ-ადამიანურ მიზანსაც ვემსახურებოდი. აქ არ იყო ქართველ მეზობელთა საწინააღმდეგო ხრიკი,—ვერც იქნებოდა ვერას გზით.

ჩემი წერილი გრძელი შეიქმნა, მაგრამ იმედი მაქვს, რომ შევიძელი იმ ეჭვების გაფანტვა, რომელიც იყო გამოთქმული „ივერიის" № 18, და ამნაირად მოეღო ბოლო ერთმანეთის გაუგებრობას.

ალ. ქალანთარი.

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

28 მარტი.

რიგა, 28 მარტი. გუბერნატორმა ახალი სავალდებულო დადგენილება გამოსცა, რომლითაც აკრძალულია კრებები, იარაღის ტარება და შენახვა.

ლიბავა, 28 მარტი. გუშინ საღამოზე სამმა კაცმა საპატიმროს უფროსს ცხრაჯერ ესროლეს, მაგრამ ააცდინეს. ბოროტ-გამზრახველნი მიიმალნენ. ერთი საეჭვო პირი დააპატიმრეს.

რომნი, 28 მარტი. რეალურ სასწავლებელში ლოცვის დროს აფეთქება მოხდა. ოთხი მოწაფე დაიჭრა. ფანჯრები სულ ჩაიმსხვრა.

პარიზი, 28 მარტი. დღეს დელკასე გერმანიის საელჩოში სადილობს. გაზეთები იუწყებიან, დღესვე ბერლინში საფრანგეთის ელჩი გრაფ ბიულოვთან სადილობსო.

ლონდონი, 28 მარტი. აქ ფიქრობენ, ავღანისტანთან ახალი ხელშეკრულობა არაფერს ,,ახალს" არ შეიცავსო. ამბობენ, რომ ინგლისის მოთხოვნილებანი რკინის გზისა და ტელეგრაფის გაკეთების შესახებ ემირისგან უარყოფილი იქნებაო. ამ უკანასკნელ ხანებში ინდოეთის მთავრობა ძლიერ შიშობს, ინდოეთს თავს არ დაესხანო. თუმცა ლონდონის კაბინეტს ეს არა სჯერა, მაგრამ პრესსა მაინც მთავრობისგან მუდამ თხოულობს, ენერგიული ზომები მიიღეთო.

ბერლინი. ,,ბერლინერ ტაგებლატ"-ის პარიზელ კორესპონდენტის ცნობებით, დელკასე ჯერ არ აპირობს მაროკოს შესახებ მოლაპარაკების დაწყებას.

პარიზი. ,,მატენ"-ს ბერლინელი კორესპონდენტი აცხობებს, გრაფ ბიულოვის ახლო მეგობარმა განაცხადა, ვითომც იმპერატორი ვილჰელმი მაროკოს შესახებ ინცინდენტის მოხდენით აპირებდა დელკასეს გაშავებასა.

ტუნისი. მოიპარეს ხაზინით სავსე ოცი ყუთი ოთხასი კილოგრამის სიმძიმისა. მცხოვრებლები აღელვებულნი არიან. რამდენიმე კაცი დააპატიმრეს.

მადრიდი. წყლის გასავალ არხის დანგრევის დროს მოკვდა 36 და დასახიჩრდა 81 კაცი; ზოგი მძიმედაა დაშავებული.

რომი. გაზეთები იუწყებიან, მეფე ედუარდი ჩქარა ვენეციაში მოვა და იტალიის მეფესა ნახავსო.

პორტ-მაგონი. ინგლისის მეფე და დედოფალი მოვიდნენ. აქ ორ დღეს დარჩებიან.

მოსკოვი, 28 მარტი. მოსკოვის კონსერვატორიის დირექცია უცხადებს მოსწავლეებს, რომ აქ წლეულს სწავლა აღარ იქნება. გადასასვლელი ეგზამენები არ იქნება. უფროსს კურსებზე გადაყვანა წლიურ ნიშნების მიხედვით მოხდება. გადასასვლელი ეგზამენები აგვისტოს მეორე ნახევარში იქნება.

კომისია, რომელიც მუშების ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებელ ზომებს იკვლევს, მონაწილეობის მისაღებად საქალაქო და საერობო დაწესებულებათა წარმომადგენლებს იწვევს. მალე ყველა რაიონში ფაბრიკების ინსპექტორების კრებაც მოხდება. კრების მიზანია—წარმოების უვნებლად მუშებს შეღავათი მისცენ.

დღეისთვის საოლქო სასამართლოში დანიშნული იყო საქმე თავად ურუსოვებისა და აზნ. ზალესკისა და ლავროვისა, რომელთაც ვერაგობა ჰბრალდებათ. საქმე გადაიდო. გადასწყვიტეს ნიცაში მყოფი ურუსოვი დააპატიმრონ, ან გირაოდ 10,000 მან. გამოართვან, ლავროვი კი პოლიციის ექიმმა უნდა შეამოწმოს.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

26 მარტი.

პარიზი, 28 მარტი „ფიგარო" და „ჟურნალი" როჟესტვენსკის ესკადრის ჩინეთის ზღვაში მოსვლას დიდ მნიშვნელობას აძლევენ; ამტკიცებენ, შედეგი ზღვაზე ბრძოლისა მთელი ომის ბედ-იღბალს გადასწყვეტსო.

სინგაპური, 28 მარტი (რეიტერი). გუშინ ბრიტანიის გემ „გრიგორი აპკარს"-ს პულუმენტიდან ოცი მილის მანძილზე სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ ბალტიის ესკადრა უნახავს, რომელიც სინგაპურიდან ას ორმოცდა ათი მილის სიშორეზე იდგა. გუშინვე ხუთი მილის სიშორეზე პულოდმარიდან გემ „როდნორშირა"-ს პულუმენტში მიმავალი ბალტიის ესკადრა უნახავს. ოთხი სამხედრო გემი გარეგნობით იაპონელებისა კონცხს სეჯაკის ახლო მოსჩანდნენ. როჟესტვენსკის გეგმის შესახებ სხვადასხვა ხმები დადის, მაგრამ უფრო იმ აზრასა არიან, რომ როჟესტვენსკის არ უნდა მტერს ჩქარა შეებრძოლოს, არამედ იგი ეცდება ვლადივოსტოკს ჩავიდეს, ან გზაში რომელიმე ნავთ-საყუდელი დაიჭიროს. ზოგი ჰფიქრობს, როჟესტვენსკი ჩინეთის წყლებს ჩქარა თავს დაანებებს და აღმოსავლეთით ფილიპის კუნძულებისკენ წავაო.

ბატავია, 26 მარტი. როგორც ამბობენ, რუსის სამხედრო გემები ბანკის კუნძულიდან მუნტოკის ახლოს უნახავთ. ჰოლანდიის ესკადრა პრიოკიდან გამოვიდა (კუნძულ იავაზე) და ჩრდილოეთით გაემართა საიდუმლო ბრძანების ასასრულებლად.

ლონდონი, 28 მარტი. გაზეთებსა და საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმაა როჟესტვენსკის ესკადრის მოძრაობის შესახებ. „ტაიმსი" შენიშნავს—რუსეთს ომის განგრძობა უნდაო. «დეილი ტელეგრაფი» ამბობს: რადგანაც როჟესტვენსკიმ სრუტე უვნებლად გაიარა, კარგი მეზღვაურის სახელი მოიხვეჭაო. საზოგადოდ ჰფიქრობენ – იაპონიის ესკადრა რუსისას სადმე იაპონიის ახლო დაუხვდებაო. ,,გრაფიკ-დეილი-ნიუზი" შენიშნავს: როჟესტვენსკიმ თუ გაიმარჯვა, იაპონია ომს ვერ განაგრძობსო.

ნაგასაკი, 28 მარტი (რეიტერი). სასებოს სადავლო სასამართლომ უყურადღებოდ დასტოვა ინგლისელ გემების «როსლი»-სა და «ლეკინგტონ»-ის პატრონთა სააპელაციო საჩივარი. ეს გემები იაპონელებმა ვლადივოსტოკის გზაზე შეიპყრეს და ბარგი და გემები დავლად წაიღეს.

27 მარტი.

სინგაპური, 28 მარტი. გუშინ, პულომენტის ჩრდილო-აღმოსავლეთით ოცი მილის მანძილზე, შეამჩნიეს ბალტიის ესკადრა, რომელიც ღუზაჩაშვებული იდგა; პულემენტა სძევს სინგაპურის აღმოსავლეთით 150 მილის მანძილზე. პარასკევ ღამეს «სან-ჟაკის» კონცხთან შენიშნეს ოთხი ორმილიანი სამხედრო გემი, რომლებიც უსათუოდ იაპონელებს უნდა ეკუთვნოდეს.

ამსტერდამი, 28 მარტი. ბატავიაიდან მიღებულ დეპეშის თანახმად, აქაც ფიქრობენ, რუსეთის ესკადრა, რომელიც კუნძულ ბანკასთან შეუმჩნევიათ, დიდ ჯავშნიან გემებიდან უნდა შესდგებოდეს, მხოლოდ ეს გემები ცალკე მიდიან და სინგაპურთან ნახულ ესკადრას თან არ მიჰყვებიანო.

ლონდონი, 28 მარტი. ჩინეთის ზღვაში რუსეთის ფლოტის მოულოდნელმა მისვლამ აქ სრულიად შესცვალა როჟესტვენსკის ღირსება-ნაკლულევანების შესახები აქამდე გამეფებული აზრი. ახლა იმას ისე აღარ ამცირებენ, როგორც დოგერბანკთან მომხდარ ინციდენტის შემდეგ იხსენიებდნენ. ის კი არა, ახლა ღრმა პატივცემასაც კი უცხადებენ რუსის ადმირალს, რომელმაც ამდენი დაბრკოლება ძლია და ფლოტი შორეულ წყლებში უკლებლად ჩაიყვანა.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4 გვერდზე).

ჟურნალ-გაზეთებიდან.

მომავალი ბრძოლა ზღვაზე. როგორც სჩანს, მოლოდინი მართლდება: ადმირალი ტოგო როჟესტვენსკის სინგაპურის მახლობლად არ შეებრძოლა, უკან-უკან წამოვიდა და, როცა იაპონიას დაუახლოვდება, როჟესტვენსკის მაშინ შეებრძოლება. სამშობლო ნაპირების სიახლოვეს საზღვაო ომში უდიდესი მნიშვნელობა აქვს: თუ რუსეთის ესკადრა დამარცხდა, დაზიანებულ გემებს სანეიტრალო ნავთსადგურებამდე მისვლა გაუჭირდებათ და ძალაუნებურად ან შუა ზღვაში უნდა ჩაიძირონ, ან იაპონიის ნაპირებს მიადგნენ და იაპონელებს ჩაუვარდნენ ხელში. ასეთივე მნიშვნელობა აქვს სამშობლო ნაპირების სიახლოვეს იაპონელთათვისაც: თუ ადმირალ ტოგოს რამდენიმე გემი დაუზიანდა, ადვილად შეუძლიან იაპონიაში მისვლა და გემების გადარჩენა.

27 მარტს როჟესტვენსკის ესკადრა სინგაპურის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, 150 მილის მანძილზე, უნახავთ. სამხედრო საქმის მცოდნენი ამბობენ, როჟესტვენსკი ეცდება ტოგოს არ შეებრძოლოს და პირდაპირ ვლადივოსტოკისკენ წავიდესო. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ტოგო როჟესტვენსკის თვალს აღარ მოაშორებს და იქ შეებრძოლება, სადაც უნდა.

მანჯურიაში. ხმელეთზედაც საიმისო არა მომხდარა-რა. ტოკიოდან იუწყებიან: 26 მარტს რუსეთის ქვეითა ჯარი და 600 კაზაკი ცულიუშუს (ჩანტიფუს ჩრდილოეთით, 45 ვერსის მანძილზე) დაეცნენ, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ. რუსებმა მეორე დღესაც გაიმეორეს იერიში, მაგრამ ამაოდ. მეორე იერიშის დროს რუსებს ჰყვანდათ 2400 კაზაკი შესაფერის ქვეითა ჯარითა და ზარბაზნებით (რ.).

დეზერტირები. „ფრანკფურტერ ცაიტუნგ"-ის ანგარიშით, ეხლანდელ ომის დროს მარტო ავსტრიის საზღვარზე რუსეთიდან 37 ათასი სალდათი გაექცა ომსა და უცხოეთში გარდაიხვეწა. ის დეზერტირებიც რომ ვიანგარიშოთ,—სწერს გაზეთი,—რომელნიც ჩინეთისა, შვეიცარიისა, ოსმალეთისა და გერმანიის გზით გაიქცნენ, გაქცეულთა რიცხვი 100 ათას კაცს გადააჭარბებს (რ. ს.).

რუსეთის ჯარს ზავი უნდა. „ნოვოე ვრემია"-ს კორესპონდენტი ოლგინსკი ბრძოლის ველიდან დეპეშით იუწყება: ჯარში ყოველ დღე ამბები მოდის, ამ ახლო ხანს რუსეთი და იაპონია შერიგდებიანო. ჯარი თითქოს გრძნობს, რომ ეხლანდელი ზავი იმ პირობებით, რა პირობებსაც ასახელებენ, მკვიდრი და ნამდვილი ზავი არ იქნება. ეს ზავი სამუდამო ან ხანგრძლივ მშვიდობიანობას ვერ დაამყარებს შორეულ აღმოსავლეთში. ჯარში ამბობენ, ბევრი-ბევრი—5—6 წლის შემდეგ ისევ ომი ატყდება და ხელმეორედ წამოვა ხალხის სისხლის ნიაღვარიო. ჯარს ზავი უნდა. რუსეთის დატანჯულ-მოქანცული ჯარი ამ ზავს სიხარულით მიეგებება, მაგრამ იმ პირობით კი, თუ ზავი ხანგრძლივი იქნება, რომ რამდენისამე წლის შემდეგ ხელმეორედ არ ატყდეს ეს უბედური და დაწყევლილი ომი (ნ. ვ.).

ინგლისის აზრი რუსეთის შესახებ. ,,ნოვოე ვრემია"-ს კორესპონდენტი ლონდონიდან დეპეშით იუწყება: ინგლისის ხალხი და მთავრობა რუსეთის საქმეებს პესიმისტიურად უყურებენ. ინგლისურ გაზეთების პეტერბურგელი კორესპონდენტები სულ იმას ამტკიცებენ, რომ ომის გაგრძელება რუსეთს დაღუპავს, დააუძლურებს და იქამდის მიიყვანს, რომ მანჯურიაზე უარესი ომი აქ, რუსეთში ატყდებაო. კორესპონდენტები იმასაც ამბობენ, რომ შინაურ რეფორმების საქმე კუს ნაბიჯით მიდის წინ და, ესეც რომ არ იყოს, თვით რეფორმები სერიოზული არ არისო. იმათის აზრით, პირველი საერო კრება 1906 წ. შემოდგომაზე შესდგება. საკვირველი ის არის,—იწერება რუსი კორესპონდენტი,—რომ მთელი ინგლისი რუსეთის შინაურ საქმეებს უფრო აქცევს ყურადღებას, ვიდრე ომს, რომელიც, იმათის აზრით, დიდი ხნის წაგებულია. ომის ბედს ვერც ლინევიჩი, ვერც როჟესტვენსკი და ვერც ვერავინ გამოაბრუნებსო,—ერთხმად ამტკიცებენ ინგლისელები და იაპონელთა საბოლოო გამარჯვება ისე მტკიცედ სწამთ, რომ რუსეთის გამარჯვება სასაცილოდაც არა ჰყოფნით. 18 თებერვლის რესკრიპტის შესახებ ინგლისის საზოგადოება იმ აზრისაა, რომ რესკრიპტმა, ჯერ ერთი, არავინაც არ დააკმაყოფილა, და მეორე—რესკრიპტის დაგვიანება არეულობას უფრო გაამწვავებს და ხალხსაც ეკონომიურად გაალარიბებს. სწორედ ამიტომაა, რომ ევროპა რუსეთს სესხზე უარს ეუბნება, იაპონიას კი ხელს უწყობს და თანაუგრძნობს (ნ. ვ).

ზავი თუ ომი? „მატენ"-ის კორესპონდენტი პეტერბურგიდან დეპეშით იუწყება: ცხადადა სჩანს, რომ მარშალ ოიამას ფარული მოძრაობა და საიდუმლოებით მოცული მოქმედება რუსეთის ჯარის სარდლებს ძლიერ აფიქრებს და აშინებს. ეხლა დაახლოვებით გამოირკვა, რომ იაპონელები ორის გზით მოდიან წინ: გირინისკენ და ციციკარისკენ. ოიამა ისე იქცევა, თითქოს კიდევ 5 წლის ომისთვის ემზადებაო. აქ კი, რუსეთში, ჯერ საბოლოოდ არ არის გამორკვეული, განაგრძონ ომი თუ იაპონიასთან ეხლავე მოლა-

ფელეტონი

მისალმება

ბნელ ქვეყანას გაქვავებულს
მზემ მაღლიდან სხივი სტყორცნა
და მშობლიურის სიყვარულით,
ჩეხვია, გადაჰკოცნა.

⁂

აჭიკჭიკდნენ ფრინველები,
მათ ბანს აძლევს თვით ბუნება,
ამ დღის მოსწრე, მოხარული
კლდე კლდეს სალამს ეუბნება.

⁂

აიშალა მერცხალთ გუნდი
და სიამით მზეს ეტრფიან,
ზამთრისაგან დაჩაგრულნი
აწ გაზაფხულს ეძახიან.

⁂

გაუმარჯოს მერცხალთ გუნდსა,
იდღეგრძელოს მათი ძიძა...
ვაშა, ვაშა მნათობთ მეფეს,
რომ ქვეყანა გაალვიძა.

ილიკო.

შეშლილის წერილებიდან.

25 მარტი, 1095 წ.

ცივა, ცივა! თავში რაღაც ჭიები ირევიან, ტანზე ლოფორჩქინები დაცოცავენ. ექიმმა წამალში გველი შემომატყუა, შავი გველი, ის ეხლა აქა ზის, აი, აქ, გულსა სწოვს.

...ვინ დამადგა მე ეს გვირგვინი?.. მასხარები! ბიჭსაც რომ მინისტრის ტანისამოსი ჩაუცვამს! თავს მიკრავს: „ჩემო ხელმწიფეო" ხა, ხა, ხა! იქნება მართლა მეფე ვგონივარ? ქაღალდი შემომიტანა, „ხელი მოაწერეთ, თქვენო უდიდებულესობავო". ხა, ხა, ხა, ხა! თქვენო უდიდებულესობავო! ქაღალდი თავზე გადავახიე. მაშინ კი მიხვდა, რო მე გიჟი არა ვარ. მასხარა! ჰგონია ვაპატიებდი! ხა, ხა, ხა, ხა!.. როგორა მწვავს მზე თავს.. როგორ იკბინება... სისხლი! სისხლი!.. ვერა ხედავ ექიმო, აი, აქ ბალიშზე, აგერ იქ, იატაკზე, ყველგან! საით მივცურავთ? .. რად ღელავს ზღვა? შესდექ-მეთქი, შესდექი ტალღავ, მე მეფე ვარ, მეფე! ხა, ხა, ხა, ხა, ეს რა ვთქვი? ხომ არავინ მიყურებს?. იცი, ექიმო, რა გითხრა? სუუ.. ღარაჯმა არ გაიგონოს, მომიახლოვდი, ყურში გეტყვი, მაგრამ არ კი გამცე, თორემ... ჰო, მე იცი ვინა ვარ? მე ამერიკიდან გამოვიქეცი, რადგან ჩემი ჩამოხრჩობა განიზრახეს, რათ გამოიგონე ახალი მთვარეო. რაო, არა გჯერა? სტყუის გალილეი, დედამიწა არა ტრიალებს, არამეთქი! მე ვუბრძანებ და დადგება! ვუბრძანებ, მე ეს შემიძლიან, მე მეფე... მაგრამ არა ვარ. მე ზეინკალი ვარ. ეგ რა ქაღალდია, კიდევ ხელი მოვაწერო? ხა, ხა, ხა, ხა, არა სჯერათ, რას უყურებ? გვირგვინს, გვირგვინს, გვირგვინს... ხა, ხა, ხა, მასხარაობაა!.. ახ, რადა სცემს ასე შუბლი...

ის შეჩვენებული ვეღარ მოვიშორე. ძალად ხელი მომაწერინა რაღაც ქაღალდებზე. წინსაფარი გასვრილი ჰქონდა, ეტყობა, მზარეულის თანაშემწეა. ყელზე მასხარას ჯვარი ეკიდა, მინისტრი გახლავართო, ვითომც მომატყუა: „თქვენო უდიდებულესობავ, უნდა ჩამოვახრჩოთო..." ჩამოახრჩეთ-მეთქი! რა მენაღვლება, დეე, იმასხარონ, იცინონ, მეც ვიცინებ, ვიცინებ, ხა, ხა, ხა, ხა! იცინეთ თქვენც, გაიცინეთ ყველამ. კარგია მხიარულება! გაიცინეთ მეთქი, მე გიბრძანებთ, ყველას დაგახრჩობთ!..

მართლა, დედამიწას ცეცხლი უკიდიაო?..

გუშინ დიდი ამბავი ჰქონდათ ჩემს სამზარეულოში, წარმოდგენა გამართეს... მე მეფე ვიყავი, აი, გვირგვინიც! ბიჭები ჩურჩულობდნენ, მე ვყვიროდი, მათ ეშინოდათ. ტიროდნენ, მე ვიცინოდი, საწყლებს შეეშინდათ, ეგონათ, მე ჭკუაზე შევცდი. ახ, რა საშინელი ღამეა! ლოგინში აღარ ჩავწვები, იქ ხვლიკები დაცურავენ. მთხოვეს: „თქვენო უდიდებულესობავ, ბაღში ისეირნეთო". ვერა ვერ მომატყუებთ! არა, მე ამ კუთხეს არ მოვშორდები. დეე, იქუხოს!.. ქარიც როგორ გრიალებს! სახლი, სახლი ინგრევა, ექიმო, დაიჭი, უშველე, ჭერი, აგერ ჩემსკენ მოდის, მაწვება! ჰა, არ გაბედო! ოხ, თავი, თავი მეჭყლიტება...

შემიბრალეთ, შემიბრალეთ, ღვთის გულისათვის!

ი. ევდოშვილი.

უბედური გაკვეთილები... *)

I

საზოგადოთ ომი ხალხსა და სახელმწიფოს ძნელ გაკვეთილებს აძლევს და ძალიან ძვირად დაუსვამს ხოლმე ძალდატანებით ერთ ადგილზე დგომას, სახელმწიფო წესწყობილობის დახავსებას, პოლიტიკურ და სახელმწიფო საქმეების გაკეთებას ჩუმად და ფარულად და ცხოვრების მაჯის ცემის შეჩერებას განგებ და ძალმომრეობით.

ომი ხალხს გამოაღვიძებს ხოლმე. ყირიმის ომმა ბოლო მოუღო რუსეთის ცრუ და ყალბ მედიდურობას, რომელიც განზრახ და ძალდატანებით შექმნილ სიჩუმეზე იყო დამყარებული. ოსმალეთის ომმაც სავსებით გააკოტრა ის ვიწრო ბიუროკრატიული სისტემა, რომელსაც რუსეთი შებოჭილი და ხელ-ფეხშეკრული ჰყავდა. ამ ომსაც „ახალი სიო" მოჰყვა, მაგრამ ადმინისტრაციის თვითნებობამ ამასაც ყელში ხელი წაუჭირა და ცივი სამარე აჩვენა. რუსეთის ეხლანდელმა განუწყვეტელმა დამარცხებამაც ყველა დააფიქრა: რისგან და როგორ მოხდა, რომ „ნამდვილ ევროპიულ" სახელმწიფოს, უზარმაზარ რუსეთს გაცილებით გაუსწრო აზიის პაწაწა და უცნობმა სახელმწიფომ—იაპონიამ, იმ იაპონიამ, რომელიც ევროპის გზას გუშინ თუ გუშინ-წინ დაადგა. დამარცხებულ სახელმწიფოს ყოველ ქვეშევრდომს ნება აქვს თავის მთავრობას ჰკითხოს: რად ჩაებით ამ ომში? ან, თუ საჭირო იყო ომი, რატომ არ მოემზადეთ? თუ მოემზადეთ, რად დამარცხდით? ან იქნება ეს ომი სრულიად საჭირო არ იყო და მისი თავიდან აცილებაც შეიძლებოდა? ჰუნგრეთის ომი სრულიად საჭირო არ იყო, მაგრამ მონობის პრინციპებზე აღზრდილმა მაშინდელმა რუსეთის ბიუროკრატიამ თავისუფლების მაძიებელ უნგრელთა თავგანწირული ბრძოლა იუცხოვა, სხვის საქმეში წაეჩარა და ამით რუსეთი მთელ ქვეყანას შეაზიზღა და შეაძულა. ყირიმის ომიც კაბინეტში დაობებულ ბიუროკრატიის ქმნილება იყო. ოსმალეთის ომიც იმით გათავდა, რომ რუსეთის ბიუროკრატიამ მთელ ქვეყნის წინაშე აღიარა თავის საგარეო პოლიტიკის გაკოტრება, თავის უვიცობა და ხალხის დამონავებაზე აღმოცენებული უძლურება. ბერლინის კონგრესზე კანცელარიასა და არქივებში აღზრდილნი რუსეთის დიპლომატები ევროპის თავისუფალ პარლამენტალურ ატმოსფერაში გაწვრთნილ პოლიტიკურ მოღვაწეებს შეებრძოლნენ და, რასაკვირველია, ამ ბრძოლიდან სამარცხვინოდ შელახულნი, დამარცხებულნი და გათახსირებულნი გამოვიდნენ. ეს „დიპლომატები" ბნელ ბიუროკრატიულ სარდაფში აღიზარდნენ, არც საზოგადო სახელმძღვანელო იდეები ჰქონდათ, არც გონიერი პოლიტიკური პროგრამა, არც შესაფერი სწავლა, არც ჭკუა და არც ნიჭი და ამიტომ ვერც რუსეთის ინტერესები დაიცვეს. ან როგორ უნდა დაეცვათ, როცა ეს ინტერესები არც კი ესმოდათ! ბერლინის კონგრესის შემდეგ საბოლოოდ და ცხადად დამტკიცდა, რომ ის თვითმპყრობელი ბიუროკრატია, რომელიც თავის ნებაზე ატრიალებს მთელ სახელმწიფოს, თავისუფალ ქვეყნის დიპლომატიას ერთსა და იმავე პირობებში სრულიად ვერ შეებრძოლება და, თუ შეებრძოლა, ადვილადაც მარცხდება. ამ თავმომწონე და ფუჭმა დიპლომატიამ იაპონიის ომის შექმნაშიაც თავის გამხრწნელი და გონიერების გამანადგურებელი უვიცობა და რუსეთის დამღუპველი რიხი გამოიჩინა. იმ დროს, როცა ინგლისმა იაპონია ძლიერ სახელმწიფოდ აღიარა, როგორც თავის თანასწორ სახელმწიფოს, ხელი გაუწოდა და კავშირით შეეკრა, ამ დროს კანცელარიის ჟანგით გაჟღენთილმა დიპლომატიამ აზიის განათლებულსა და პროგრესიულ სახელმწიფოს ისევ ზევიდან დასცქეროდა, ახლო არ იკარებდა და პასუხსაც კი ძლივს აკადრებდა. რუსეთის დიპლომატია საქვეყნოდ აცხადებდა, არც კორეა მინდა და არც მანჯურიაო, მაგრამ ამავე დროს დიდ ოკეანეში ფლოტს აძლიერებდა, ციხეებს ამაგრებდა, მანჯურიაში ჯარი გადაჰყავდა და ცხადად საომრად ემზადებოდა. რუსეთი ყოველთვის ასე იქცეოდა: ერთ და იმავე დროს ქვეყანასაც არწმუნებდა, მე მშვიდობიანობის მოყვარე ვარ და სხვას არ დავტანჯავო, და მშვიდობიანობასაც არღვევდა, ყველას სტანჯავდა და ხან ერთ სახელმწიფოს გამოსტაცებდა მიწა-ადგილს, ხან მეორეს. ამგვარ ტაციობის პოლიტიკას ის მოჰყვა, რომ რუსეთი ყოველგან შერცხვა და გათახსირდა. ეხლა ყველა უცხოელი დარწმუნებულია, რომ რუსეთს პატიოსნებისა არა ესმის-რა და ამიტომ ვერც იმის დაპირებასა და ვერც პატიოსან სიტყვას ვენდობითო. ეს აზრი რუსეთის შესახებ ჩვენმა ბიუროკრატიამ დაამტკიცა კიდევაც. 1902 წელს რუსეთმა მთელ ქვეყანას ოფიციალურად გამოუცხადა, 1903 წლის ნოემბერში მანჯურიას ჩინეთს დავუბრუნებო, მაგრამ ნოემბერში, მანჯურიიდან ჯარის გამოყვანის მაგივრად, ახალ-ახალი ჯარები ჩარეკა და პირობის ასრულება ფიქრადაც არ მოსვლია. განა შეიძლება ამის შემდეგ რუსეთის პატიოსან სიტყვას ვენდოთო, ამბობენ უცხოელები და აკი არც ენდობიან. ასეთი დამღუპველი და გარკვეული იდეის მოკლებული პოლიტიკა, ანუ—უკეთ რომ ვთქვათ—პოლიტიკის უქონლობა მარტოოდენ თვითმპყრობელ ბიუროკრატიის ბრალია. განა ბიუროკრატიას საიდუმლოდ რომ არ ეთარეშნა და მის მოქმედებას კონტროლი ჰქონოდა, რუსეთს დაატყდებოდა ეს უბედური ომი? განა იაპონიის მთავრობას პირდაპირ რუსეთის ხალხის წარმომადგენლებთან რომ ჰქონოდათ საქმე, შეიძლებოდა ვიღაც ბობოლებს თავისი პირადი საქმე სახელმწიფო საქმედ გაეხადნათ და მთელ ერისთვის სისხლი ენთხევინებინათ? იმ დროს, როცა აუარებელმა გადასახადმა მთელი რუსეთი გაალატაკა, გაალარიბა და დაამშია, თვითნება ბიუროკრატია ამ ხალხის ოფლით მონაგარ მილიონებს დაუდევრად ხარჯავდა სადღაც მანჯურიაში, იმ მანჯურიაში, რომელიც რუსეთს არ ეკუთვნოდა. იმ დროს, როცა მთელი რუსეთი უვიცობითა და სიბნელით იყო მოცული, ბიუროკრატია ფორტების აშენებაზე მილიონებს ხარჯავდა, აქ, რუსეთში-კი ერთი სკოლის გასაღებად ასი და ათასი მანათი შურდა. რუსეთში სულ უბრალო და ფრთა შეკვეცილი თვითმმართველობა რომ ყოფილიყო, ხალხი მაშინაც კი მოახერხებდა და ამ სამარცხვინო ხაფანგში არ გაებმოდა, ხალხის გროშებს წყალში არ გადაჰყრიდა, არ გაფლანგავდა და არას დროს არ შექმნიდა იმ გახლართულსა, გამოურკვეველსა და ტაციობის პრინციპზე აშენებულ პოლიტიკას, რომლითაც რუსეთის ბიუროკრატია განგებ აღიზიანებდა იაპონიასაც, ინგლისსაცა და ამერიკასაც. ამ პოლიტიკას მხოლოდ ომის გამოწვევა ჰქონდა მიზნად და აკი გამოიწვია კიდევაც.

II

რამდენისამე ასის წლის განმავლობაში რუსეთის ერს ერთი მხრით ძალმომრეობით აჩვევდნენ და ასმენდნენ, შენი სამშობლოს ყოფა-ცხოვრება და პოლიტიკური ვითარება შენი საქმე არ არისო, მაგაზე ნუ ფიქრობ და ნუ ირჯებიო. მეორე მხრით კი სრულ თავისუფლებას აძლევდნენ, უცხოელები, პოლონელები, ქართველები, ფინლანდიელები და საზოგადოთ არა რუსნი როგორც გინდათ, ისე მოიხსენიეთო. პრესსას სრული უფლება ჰქონდა ყოველ დღე ინგლისი ტალახში ამოესვარა, საფრანგეთისა და ავსტრო-ჰუნგრეთის მთავრობა გაეკიცხა, გაეთახსირებინა, ჩინეთისა და ოსმალეთის გაყოფა მოეთხოვნა, იაპონიის უძლურება დაემტკიცებინა, ფინლანდიელთა და პოლონელთა ინტრიგები გამოემჟღავნებინა, ებრაელთა მავნებლობა და „იმათი დარბევის საჭიროება" დაემტკიცებინა. სამაგიეროდ ამავე პრესსას კრინტი არ უნდა დაეძრა შესახებ ეროვნულ და პოლიტიკურ ცხოვრებისა, მოხელეთა ძარცვა-გლეჯისა, ბიუროკრატიის მექრთამეობისა, უვიცობისა, ძალმომრეობისა, თვითნებობისა, უკანონობისა, ხალხის მილიონების გაფლანგვისა, უნიჭოთა,

---

*) „ვესტ. ევრ". 1905 წ. № 3.

პარაკება დაიწყონ და უნაყოფო სისხლის ღვრას ბოლო მოუღონ. ამბობენ, ომი უნდა განაგრძონო, მაგრამ ეს არავისა სწამს, ყველას ზავი უნდა, მაგრამ ზავის ჩამოსაგდებად არავინ არაფერს არ აკეთებს. მე დანამდვილებით გავიგე, რომ რუსეთის ყველა მინისტრს უნდა ზავის ჩამოგდება, მაგრამ ოფიციალურად ამის შესახებ ლაპარაკს ვერა ბედავენ. რუსეთის ბიუროკრატიას ერთად-ერთი და უკანასკნელი იმედი-ღა აქვს: როჟესტვენსკის ესკადრა, რომელზედაც დამოკიდებულია ომის გაგრძელებაცა და ზავის ჩამოგდებაც. თუ როჟესტვენსკიც დამარცხდა, ზავი აუცილებელი იქნება და რუსეთიც იძულებული შეიქნება იაპონიას მანჯურიაც დაუთმოს, კორეაც, სახალინიც, ვლადივოსტოკიც და 1500 მილიონი მანათი კონტრიბუციაც გადაუხადოს, თუ გაიმარჯვა—ომი ერთი-ორის წლით კიდევ გაგრძელდება (ნ.).

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

გუდაუთი, 29 მარტი. აფხაზებმა უარი განაცხადეს სადგილ-მამულო და საერობო გადასახადზე. გამოწვეულ იქმნა ჯარები, რომელნიც უკვე ჩამოვიდნენ.

ახალი ამბავი

ცხინვალიდან გვატყობინებენ, რომ წარსულ კვირას ადგილობრივ ბოქაულთან **საჩქაროდ დაბარებულნი იყვნენ** სოფ. საქაშეთში მცხოვრებნი **მღვდელი ეფრემიძე და მემამულე დიმიტრი დიასამიძე**. ადგილობრივმა ადმინისტრაციამ მათ გამოუცხადა, რომ იგინი დაუყოვნებლივ უნდა გაემგზავრონ გორს და წარუდგნენ მაზრის უფროსს. იმ დღესვე ზემოხსენებულნი პირნი ყარაულ ქვეშ მოვიდნენ ქ. გორს, სადაც მაზრის უფროსმა გამოუცხადა, რომ ქ. გორიდან არსად წასულიყვნენ ვიდრე გამოძიებას არ მოახდენდნენ.

✦ ორშაბათს ქალაქის **ხორცის დუქნების გამგე კომისიამ გადასწყვიტა**, ქალაქის დუქნებში ხორცი ჰყიდონ 1 ხარისხისა—13 კაპ., მე-2 ხარისხისა—11 კაპ. და მე-3 ხარისხისა—8 კაპ.

✦ ორშაბათს, 28 მარტს, ქალაქის საბჭომ, სხვათა შორის, **განიხილა ტფილისის მეეტლეთა** განცხადება. მეეტლენი თხოულობენ ნიხრის გაუქმებას, წელიწადში თითო ცხენზე 3 მანათის ბაჟის გადახდას, დარჩენილ გარდასახადების მოსპობას, ნომრების აღების თიბათვემდე გადადებას და სხვა. ბევრი კამათის შემდეგ, საბჭომ დაადგინა: 1) დარჩენილ გარდასახადების მოსპობის საკითხი მიენდოს გამოსარკვევად განსაკუთრებულ კომისიას, რომელმაც მეეტლეთა წარმომადგენელიც უნდა მოიწვიოს; 2) რადგანაც წლევანდელი ხარჯთ-აღრიცხვა უკვე შედგენილია და დასამტკიცებლად ტფილისის გუბერნატორთანაა წარდგენილი, ამიტომ ცხენებზე ბაჟი (10 მან.) წლეულს დარჩეს და ეს საკითხი განიხილონ მაშინ, როდესაც 1906 წლის ხარჯთ-აღრიცხვას შეადგენენ; 3) ნომრების აღება გადიდოს პირველ მაისამდე; 4) ნიხრი გაუქმდეს, მხოლოდ ვაგზლიდან ქალაქამდე და ქალაქიდან ვაგზალში დარჩეს იგივე ნიხრი. დარჩეს აგრეთვე ნიხრი საათობით.

✦ **ტფილისის სახელოსნო გამგეობას შეუმუშავებია წესები**, რომელიც სავალდებულოდ უნდა გახდეს სახელოსნოების პატრონებისა, ქარგლებისა და მათის თანაშემწეებისთვისაც; ამ სავალდებულო წესების ძალით, თუ სახელოსნოს პატრონმა მოისურვა ქარგლის ან ქარგლის თანაშემწის დათხოვნა, მან უნდა გამოუცხადოს ორი კვირით წინ, თუ მომუშავეს არ გამოეცხადა, მაშინ სახელოსნოს პატრონმა ორი კვირის ჯამაგირი უნდა მისცეს; ეს წესები აღბეჭდილია წიგნაკებად და ხელოსნებს დაურიგდებათ.

✦ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭო მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს რწმუნებულსა სთხოვს—საზოგადოების საოპერაციო ბიუროს გამგეს პ. ი. ყიფიანს ნება მისცეს ბათუმის საბაჟოდან **უფასოდ წამოიღოს 2700 ფუთი გოგირდი**, რომელიც საზოგადოებამ თავის საჭიროებისთვის გამოიწერაო.

✦ 4 აპრილს ტფილისის **სასამართლო პალატაში დანიშნულია საქმე** დუშეთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ყოფილ უფროსის მალაქია **ცხვედაძისა**, რომელსაც სამსახურის დროს ფულის გაფლანგვა ბრალდება.

✦ **პოლიციის მე-7 ნაწილის მცხოვრებლებმა** გუშინ ტფილისის ქალაქის მოურავს სთხოვეს, ჩვენის უბნის შუაგულში შვიდი აგურხანა არის, რომლებსაც მაზუთით ახურებენ, და მუდამ წამს იმის შიშში ვართ, ჩვენს სახლებს ცეცხლი არ გაუჩნდესო. ამას გარდა, სუნით ვიხრჩობით-გთხოვთ გვიშუამდგომლოთ, რომ ეს აგურხანები ქალაქ გარედ გადაიტანონო. ამას გარდა, მოურავს სთხოვენ, გაიყვანონ ქუჩები, სახლებს ნომრები დაუნიშნონ და ქუჩებში ფარნები დადგან. ქალაქის მოურავმა ყოველნაირი დახმარება აღუთქვა.

✦ **ტფილისის ხელოსანთა მამასახლისს შეეკითხა სხვადასხვა ამქრის უსტაბაში**, გვაცნობეთ, რამდენი უნდა იმუშაოს ხელოსანმაო. ხელოსანთა მამასახლისმა აუწყა ამქართა უსტაბაშებს, რომ, სახელოსნოთა წესდების 430 და 431 მუხლის ძალით, ხელოსანმა მუშაობა უნდა დაიწყოს დილის 6 საათზე და აუშვას ხელი საღამოს 6 საათზე, ხოლო სასადილოდ კანონი ნებას აძლევს ხელოსანს ორი საათით დაისვენოს. ხელოსანთა გამგეობამ წესდების აქ მოყვანილი მუხლები აღმობეჭდა ცალკე ფურცლად ხალხში გასავრცელებლად.

✦ ტფილისის ხელოსანთა გამგეობასთან დაარსდა **დამხმარებელი კასსა**; კასსის წესდება ხელოსანთა მამასახლისმა უკვე წარუდგინა ტფილისის გუბერნატორს. გუბერნატორმა ნება დართო კასის მოქმედებისა.

✦ გაზ. «მშაკ»-ის კორესპონდენტი მეშხედიდან (სპარსეთი) იუწყება, რომ იქ **ქრისტიანეთა წინააღმდეგ მოძრაობის დროს დაუჭერიათ** 30 კაცი, რომელნიც მოძრაობის მეთაურნი ყოფილან. თეირანიდან შაჰს უბძანებია მეშხედის გუბერნატორისათვის, რომ ღონისძიებანი მიიღოს ქრისტიანეთა ქონების დასაცველად. დაზარალებულთ მეშხედში მყოფ რუსეთის კონსულისათვის მიუმართავთ. კონსულს დაზარალებულთა მოთხოვნილებანი წარუდგენია სპარსეთის მთავრობისათვის.

✦ როგორც გადმოგვცემენ, სიღნაღის გზატკეცილზე 28 მარტს **ისეთი საშინელი ქარი ყოფილა, რომ გზებზე მიმოსვლა სრულიად შეწყვეტილა.** სადგურ ორხევსა და ვაზიანს შუა მიმავალი ფურგუნები და სხვა ეტლები ქარს გადაუბრუნებია და მთლად დაულეწია. სხვათა შორის, ხალხით საესე მიმავალი ომნიბუსიც გადაბრუნდა და შიგ მჯდომნი ძალიან დაშავებულან.

✦ ქ. გორში, ოლქის სასამართლოს სესიაში, ორშაბათს, 28 მარტს, **დანიშნული იყო საქმე ალ. ეგაძისა, რომელმაც ივ. დავ. სულხანიშვილი მოჰკლა.** რადგანაც სასამართლოში საქმისთვის რამდენიმე საჭირო მოწმე არ გამოცხადდა, ამ საქმის გარჩევა სხვა დროისათვის გადაიდო.

✦ ბაქოს სადგურზე 27 მარტს, როდესაც ორთქლ-მავალი სადგურში შედიოდა, გაუფრთხილებლობის გამო თვლების ქვეშ მოჰყვა და გაიჭყლიტა მუშა ივანე შახოვი.

✦ ქალ. დუშეთში, ოლქის სასამართლოს სესსიაში, 24 მარტს გაირჩა საქმე სოფელ შუახევის მცხოვრებლების სიდონია თურქიაშვილისა და მახარა ხანდუელისა, რომელთაც თავიანთის უკანონო შვილის მოკვლა და ჩუმად დამარხვა ბრალდებოდათ. სიდონია თურქიაშვილმა აღიარა თავისი დანაშაულობა და სთქვა, რომ შვილი მეყოლა ხანდუელისაგან, რომელმაც მითხრა, თუ ეგ ბავშვი სადმე არ გადაჰკარგე, შენც მოგკლავ და მაგ ბავშვსაცაო. სასამართლომ ხანდუელი გაამართლა და თურქიაშვილს გადაუწყვიტა ზოგიერთ ღირსების ჩამორთმევა და ორის წლით ციხეში დაპატიმრება.—იქვე გაირჩა საქმე თიანეთის მაზრის მცხოვრებლის ალექსი ნიბოლოშვილისა, რომელსაც ევა ხუბულურის ქალის მოტაცება ბრალდებოდა. სასამართლომ ნიბოლოშვილი დამნაშავედ იცნო და სამი წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა გადაუწყვიტა.

პარიკმახერთა კრება

(სახელოსნო გამგეობაში).

28 მარტს, საღამოს 6 საათზე, სახელოსნო გამგეობაში პარიკმახერებს კრება ჰქონდათ: თავმჯდომარეობდა პარიკმახერთა უსტაბაში ბ-ნი მხეიძე. როგორც თავმჯდომარის სიტყვიდან სჩანდა, კრების მიზანი იყო ქარგალთა ცხოვრების უკეთესს პირობებში ჩაყენება. როგორც ყველგან, ისე აქაც უპირველეს ყოვლისა სამუშაო დროზე დაიწყეს ლაპარაკი. ბევრი სჯა-ბაასის შემდეგ დაადგინეს:

1) 1 აპრილიდან 1 ოქტომბრამდე სამუშაო დრო 7–8 საათამდე. 1 ოქტომბრიდან 1 აპრილამდე კი 8—9 საათამდე.

2) კვირა უქმეს წინა დღით სამუშაო დრო 11 საათამდე იყოს.

3) კვირაობით დილიდანვე დაიკეტოს საპარიკმახეროები (დალაქებმაც თუ დაჰკეტეს).

4) იმ მომუშავეთ, რომელთაც ერთი წელიწადი უმუშავნიათ, ავადმყოფობის გამო ორი კვირის შეღავათი ეძლევათ და ადგილსაც არა ჰკარგავენ.

5) შობას, ახალ-წელს, ნათლისღებას, აღდგომასა და ამაღლებას საპარიკმახეროები დილიდანვე დაიკეტება.

6) ფასები გაკრეჭა-გაპარსვაზე ,,ხაზეინმა'' და ქარგალმა უნდა დააწესონ ერთმანეთში მორიგებით.

7) უნდა შეადგინონ პროგრამმა ქარგალთა გამოცდისათვის.

8) ატესტატები საერთო სახელოსნო გამგეობიდან ეძლევათ ქარგალთ, თანახმად ამქრის დადგენილებისა.

9) უსტაბაშის ამორჩევაში მონაწილეობას მხოლოდ ატესტატიანი ოსტატები იღებენ.

10) მოწმობა საერთო სახელოსნო გამგეობიდან ეძლევათ ქარგალთ, თანახმად ამქრის დადგენილებისა.

11) შეგირდები მხოლოდ საპარიკმახეროში უნდა იყვნენ ხელობის შესასწავლად და არა სახლში მოსამსახურედ.

12) თუ შეგირდი სადილს ,,ხაზეინთან'' არა სჭამს, მას ფულად უნდა მიეცეს.

13) ქარგალთ ნება არა აქვთ სცემონ ან შეაგინონ, ან სხვა უწმაწურის სიტყვით მიმართონ შეგირდებს.

14) ,,ხაზეინმა'' და ქარგალმა უნდა გამოუცხადონ ერთმანერთს: პირველმა—დათხოვნაზე, ხოლო მეორემ—სამსახურისათვის თავის დანებებაზე.

15) ვინც ქარგალთაგან დანიშნულ დროზე არ მოვა სახელოსნოში, მას ყოველ ნახევარ საათზე ხაზეინის სასარგებლოდ 40 კაპეიკი გადახდება; ხოლო თუ ქარგალმა ერთი დღე გააცდინა, მან ორი დღე ხაზეინის სასარგებლოდ უნდა იმუშაოს.

16) იმ დღის მაგიერ, როდესაც ქარგალი ნასვამი იქნება, მან ორი დღე უნდა იმუშაოს.

კრება 8 საათზე გათავდა.

ოფიციალური ცნობა.

(„კავკაზი" № 83).

6—9 თებერვალს ბაქოში მომხდარ ამბების შემდეგ ტერორისტთა პარტიამ ქალაქში გაავრცელა პროკლამაციები, სადაც ნათქვამი იყო, რომ რევოლიუციონერთა კომიტეტმა სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტიაო ბაქოს გუბერნატორს თავ. ნაკაშიძეს, ბაქოს პოლიცმეისტერს კაპიტანს დემინსკის, ბოქაულ კაპიტანს მამედბეგოვს, ბოქაულის თანაშემწეს სულთანოვს და უბნის ზედამხედველთ: თავ. მიქელაძეს და შახტახტინსკის.

16 მარტს მოკლულ იქმნა უბნის ზედამხედველი თავ. მიქელაძე. საღამოს ცხრა საათი იქნებოდა, რომ თავ. მიქელაძე ეტლით მიდიოდა და თან ახლდა პოლიციელი ერემუშკინი. ფართო ქუჩაზე, რომელიც ეგრედწოდებულ „შავ ქალაქში" გადის, თავ. მიქელაძესა და ერემუშკინს თავს დაეცა ექვსი შეიარაღებული უცნობი კაცი, რომელთაც რევოლვერი ესროლეს ეტლში მჯდომთ და ორივენი იქვე მოჰკლეს. მკვლელნი ორთავე მხრიდან დაუდგნენ ეტლს და, როდესაც სროლა ასტეხეს, ერთი თავდამსხმელთაგანი თავისსავე ამხანაგმა დასჭრა, ისე რომ, ტყვიამ ძვალი დაუმსხვრია. თანამოაზრეებმა დაჭრილ ამხანაგს წაართვეს რევოლვერი და მიიმალნენ. დააპატიმრეს დაჭრილი თავდამსხმელთაგანი, რომელმაც განაცხადა, გურჯიძე ვარო.

იმავე საღამოს გაჩხრიკეს გურჯიძის სადგომი და დაიჭირეს მის ბინაზე მცხოვრები მისი ამხანაგი, რომელმაც განაცხადა,—ქუთაისის გუბერნიის მცხოვრები ვარ, გვარად ცისკარაშვილიო.

რამდენისამე დღის წინად ბოქაულს მამედბეგოვს აცნობეს, რამდენიმე საეჭვო კაცი, ეს ერთი ხანია, გუბერნატორის ბაღთან თავს იყრის და ვიღასაც უთვალთვალებს, ალბად, გუბერნატორსაო. ამის შემდეგ, 22 მარტს, აცნობეს, რომ ისევ გროვდებიან ხსენებული საეჭვო კაცები გუბერნატორის ბაღის მახლობლად, სადოვოის ქუჩაზე, და ვიღასაც ელოდებიანო. მივიდა თუ არა ნაჩვენებ ადგილას, მამედბეგოვმა დაინახა სკამზე მჯდომი ექვსი კაცი. მამედბეგოვის დანახვაზე ოთხი მათგანი განზე გადგა, ხოლო ორი ადგილიდან არ დაძრულა. მამედბეგოვი მიუახლოვდა და მოსთხოვა,—პოლიციის სამმართველოში წამომყევით, რაზედაც ხმა-ამოუღებლივ დასთანხმდნენ. როდესაც პოლიციის შენობასთან მივიდნენ, ალაყაფის კარებთან უცნობებმა ამოიღეს რევოლვერები და ესროლეს ბოქაულს; სწორედ ამ დროს მამედბეგოვის ზურგიდანაც გაისმა რევოლვერის სროლის ხმა. გამოცვივდნენ თათრები და დაიჭირეს მეორე უცნობი კაცი, რომელიც დაჭრილი აღმოჩნდა, ხოლო მესამე, თათრების ჩვენებით, პოლიციელს დაეპატიმრებინა გუბერნატორის ბაღთან. მეოთხეს გამოუდგნენ თათრები და პოლიციის სტრაჟნიკები და მოჰკლეს. ქალაქ უბნის მცხოვრები, რომელიც მამედბეგოვთან იმყოფებოდა, მუცელშია ტყვიით დაჭრილი. დაპატიმრებულნიც და მკვლელიც—სომხები არიან. თითოეული მათგანი ორლულის რევოლვერით იყო შეიარაღებული და წელზე შემორტყმული ჰქონდათ პატრონების ჩასაწყობი ჩანთა; პატრონები ძლიერ ბევრი ჰქონდათ.

მაშინვე იმ ადგილას, სადაც ეს ამბავი მოჰხდა, მივიდა ბაქოს დროებითი გენერალ-გუბერნატორი, გენერალ-ადიუტანტი თავ. ი. გ. ამილახვარი, რომელსაც პოლიციის პირველ ნაწილის სამმართველოში აუარებელი თათრობა დახვდა. თათრები ძლიერ აღელვებულნი იყვნენ იმის გამო, რომ უცნობთ ბოქაულ მამედბეგოვის მოკვლა განეზრახათ. მამედბეგოვი ადგილობრივ თათართ ჩამომავალია და ბაქოელ თათართა შორის დიდი გავლენა და პატივისცემა აქვს დამსახურებული. იმდენად ძლიერი იყო თათართა აღელვება, რომ, როდესაც გენ.-გუბერნატორი, გენ.-ადიუტანტი თავ. ი. გ. ამილახვარი ამშვიდებდა და ემუდარებოდა,—დაიშალენით, ამ საქმეს გავარჩევთო, თათართა ბრბოდან მოისმა ხმა-მაღალი ყვირილი: „როდემდის უნდა გელოდოთ?"-ო. თუმცა ძლიერ აღელვებულნი იყვნენ, მაგრამ თავ. ამილახვრის ბრძანებამ და ხვეწნა-მუდარამ გასჭრა, ბრბო ზრდილობიანად და თავდაჭერილად დაემორჩილა თავ. ამილახვარს და მშვიდობიანად დაიშალა. საპატიო და გავლენიანი კაცები ქუჩა-ქუჩა დადიოდნენ ქალაქში და ამშვიდებდნენ აღელვებულ მცხოვრებთ, რომელნიც შიშმა შეიპყრო და საჩქაროდ დუქან-მაღაზიებსა ჰკეტავდნენ. დაუყოვნებლივ მიღებულ იქმნა საჭირო ღონისძიებანი ქალაქის პოლიციისა და დამცველთა რაზმის გასაძლიერებლად.

—

ტფილისის მაზრაში გლეხთა მოძრაობის თაობაზე შემდეგი ცნობებია შეკრებილი: მოძრაობა, რომელიც დაიწყო მდ. იორის მარცხენა ნაპირის სოფლის საზოგადოებათა გლეხებს შორის, მდ. იორის მარჯვენა ნაპირის სოფლის საზოგადოებათა გლეხებშიაც გავრცელდა. ყველგან ურიდობას ახდენენ და წითელ დროშებს აფრიალებენ მთავრობის საწინააღმდეგო ზედ-წარწერით. რომელთაც ამ მოძრაობაში მონაწილეობის მიღება არა სურთ, ემუქრებიან, აშინებენ და ამნაირად იძულებულს ჰხდიან, რომ მათ შეუერთდნენ. გერმანელ მოახალშენეთ ცივი უარი განაცხადეს უწესოებაში მონაწილეობის მიღებაზე.

სადღეისო

მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

საღამოს რვა საათია. ქალაქის ერთ ქუჩაზე მშვენიერი თეთრი სახლია გამოჭიმული. ამ სახლის „კარებთან" რომ მიხვიდეთ, ზედ ბევრ «ძლიერთა ამა ქვეყნისა» გვარებს წაიკითხავთ. სხვათა შორის, ერთ პატარა თითბრის ფიცარზე სწერია: „Учитель Григорій Алмасхановичъ Берадзе".

თვითონ ბერაძე ამ დროს თავის პატარა ოთახში ზის და პაპიროზს „აბოლებს". იგი ოცნებას მისცემია. ნამდვილად, იმას ანგარიშობს, როდის მოვა, «ოცია».

— რა ვქნა, რატომ არ მოდის?! 8 საათზე მოვალი და აგერ დროცაა. მეცოდება, ღმერთმანი, ეგ დალუპული. ღარიბი კაცის შვილია, და ვიღაცა ბოროტ კაცებს შეუცდენიათ. ერთი ჩქარა მოვიდეს. ჩემი ზნეობრივი მოვალეობაა გზაზე დავაყენო და დავარიგო.

ისმის ზარის წკარუნი,
შემოდის მსახური.
„ბატონო, გიახლათ. მივიღოთ"?
— დაუძახე.

შემოდის ესე 18 წლის ყმაწვილი. მის სახეს რაღაც გაბედულება ეტყობა,—ამას ბრტყელი შუბლი უმტკიცებს. თვალებიც განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს კაცზე. თავზე მშვენიერი ხუჭუჭი თმა აქვს. ყმაწვილმა თავი დაუკრა თავის მასწავლებელს, რომელმაც კეთილ-ინება და ხელი გაუწოდა. ყმაწვილმა ირონიის გამომხატველის სახით შეხედა მასწავლებელს.

— შენ შენსას არ იშლი კიდევ?! მე დღეს იმიტომ დაგიბარე, რომ შენ დარიგება მოგცე. ეს ჩემი ზნეობრივი მოვალეობაა. მაინც რას ამბობენ?

— რას უნდა ამბობდნენ?! თქვენ თითონ კარგად იცით, რომ ეხლანდელი სკოლა მხოლოდ ზიზღის ღირსია. რას არ გვიშვრებიან იქ?! სულიერად გვამახინჯებენ, ქრისტეს მოძღვრებით გვაწვალებენ! ენას გვაცლიან. ამ პირობებში განა შეიძლება ცხოვრება?! ჩვენც ადამიანები ვართ! ჩვენც ადამიანური უფლებები გვინდა. ჩვენ არ გვინდა ვისწავლოთ იქ, სადაც სიბრძნე და პოლიტიკა ერთად მოთავსებულან. ჩვენ არ გვინდა იმ სკოლაში ვისწავლოთ, რომელიც ცხოვრებისათვის არ გვამზადებს, რომელიც მხოლოდ პატენტს გვაძლევს და მეტს არაფერს. ჩვენ სკოლის ბრწყინვალე მომავალი გვრწამს!

— დამშვიდდი, კაცო, აქ ორატორობას ნუ კი დამიწყებ! ხა! ხა! ხა! ორატორი! კაცო, მე შენთვის გეუბნები, თორემ მე რა? კაცო, ეხლა პატარა აღარა ხარ, რომ არ გესმოდეს. მე მაინც ამიღე მაგალითად, ბეჭებზე, გულზე მიცქირე, დამაკვირდი! მეც მოსწავლე არ ვიყავ? როგორ მივაღწიე ამას?! მე არა დროს არ გავფიცულვარ და მთავრობისთვის წინააღმდეგობა არ გამიწევია. მეც იმ სკოლაში არ ვსწავლობდი, რომელშიაც ეხლა თქვენ ხართ?! მაგრამ მე ვემორჩილებოდი უფროსს, მისი სიტყვა ჩემთვის ღვთაებრივი იყო, მისი თითის გაქნევისაც კი მეშინოდა. და, აბა, დღეს უცქირე ჩემ სახლ-კარს, მოწყობილებას, ცოლ-შვილს. კაცო, მე მიყურე: ჩინ-მენდლები, პატივი! მატერიალურის მხრივაც ძლიერი ვარ. მე გირჩევ შენ, როგორც ღარიბ კაცის შვილს, თავი დაანებო მაგ სულელურ „პროტესტს" და სწავლა კვლავინდებურად განაგრძო. თუ შეიძლებ, სხვებსაც ჩააგონე და ნამდვილ ჭეშმარიტ გზაზე დააყენე. Я это въ вашихъ же интересахъ говорю. მე გირჩევ შენ, როგორც შვილს, თავი დაანებე ბოროტ ამხანაგებს. ისინი დაბეზღებული არიან და, შეიძლება, ამ დღეებში დაითხოვონ".

— დაბეზღებულნი არიან? ვინ დაიბეზღა? შეეკითხა მოწაფე მასწავლებელს და გამომცდელ თვალით ყურება დაუწყო. მასწავლებელი, ცოტა არ იყოს, აირია...

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ! დააბეზღეთ, თქვენი აღარა მინდარა!—ზიზღით შესძახა ყმაწვილმა, დაავლო ქუდს ხელი და გარედ გამოვარდა...

პ. ღადვაძე.

პრესსა

ერთი საუცხოო ნიმუში იმისი, თუ რამდენად სანდონი არიან ჩვენთვის რუსების ლიბერალები... გაზ. „რუსი", რომელიც აცხადებს ეროვნულ სამართლიანობას ვემსახურებითო, რომელმაც თავის ფურცლებზე დაუთმო ადგილი სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს იმათ ეროვნულ სურვილების გამოსათქმელად, რომელმაც დაჰბეჭდა ნ. ღ.-ს წერილი—„ინოროდცები არიან ქართველები თუ არა", რომელშიც იყო გამომჟღავნებული, სხვათა შორის, ეპისკოპოს დიმიტრის მოქმედება საქართველოში,—იგივე გაზეთი ახლა თვით ეპისკოპოს დიმიტრის წერილსაც ჰბეჭდავს.

ეპისკოპოსი, რასაკვირველია, ცდილობს თავის გამართლებას და, როგორც სხვა მოღვაწეები, რომელთაც ჩინ-ორდენების გულისთვის ათასნაირი შევიწროვება მიუყენებიათ ქართველებისთვის და რომელნიც ახლა შეუშინდნენ ხალხის გულის წყრომას და ფიცულობენ, არას დროს ფიქრადაც არ მოგვსვლია ქართველების მტრობაო, იგიც ახლა ჩამოსთვლის თავის „სამსახურს" ქართველ ეროვნების წინაშე. მე ვააშენე მონასტრებიო, მე შევუწყე ხელი ქართულ ენის გავრცელებასაო, მე ვცდილობდი ყოველთვის ქართველების დაწინაურებას და სხვადასხვა, და ბ-ნი ნ. ღ. ტყუილს ამბობს, ვითომც ქართველი ერი შევიწროებული ყოფილიყოსო.

უჭკუოთა, უვიცთა გამეფებისა და საუკეთესო ძალის დახშვისა, დალპობისა და მოსპობისა. რუსეთში გამეფდა თავიდან ბოლომდე ყალბი, ცრუ, ცალმხრივი და ვიწრო პატრიოტიზმი, რომელიც არა-რუსებს სამართლიანად აბრაზებდა და რუსეთის ერისადმი ღრმა ზიზღსა და უსაზღვრო სიძულვილს უნერგავდა. ესევე პატრიოტიზმი შინაურების შესახებ ორგული, ორპირი, ენაქლესა, ბრმა, უსულო და სასტიკი იყო. ვინც თავის სახლისადმი სრულს გულგრილობას იჩენდა და სახელმწიფო ხარჯით თავის პირად საქმესა და კარიერას ემსახურებოდა, ის მხურვალე პატრიოტად ითვლებოდა და ადრე თუ გვიან სახელმწიფო მოღვაწედ ხდებოდა. ის კი, ვისაც პირმოთნეობა და ლაქუცი არ შეეძლო; ის, ვინც ენატანიებსა, ჯაშუშებსა, ორგულებსა და მაწანწალა ეგოისტებს პირში აფურხებდა; ის, ვინც თავის გულში ხალხისადმი ერთგულებისა და სიმართლისადმი გულწრფელ სიყვარულის ჩაქრობას ვერ ახერხებდა,—თვითნება ბიუროკრატიამ საზოგადოებას ჩამოაშორა, სდევნა, აწამა, აწვალა, ციმბირში გაგზავნა და ჯვარს აცვა.

ოფიციალურ პატრიოტიზმის მქადაგებლად გამოვიდნენ ნამდვილი ობსკურანტები, მექრთამენი და ბეჭდვითი სიტყვის აფერისტები. იმათ თანამოაზრეებსაც კი არ მიაჩნდათ პატიოსან და კეთილსინდისიერ ხალხად, მაგრამ ისინი მაინც ძალმომრეობასა და სახჩობელას ურჩევდნენ რუსეთს იმ დროსაც კი, როცა ისედაც ძალმომრეობის მოტრფიალე ბიუროკრატია მზად იყო მარწუხები ცოტათი მოეშვა. ამ რამდენისამე ათი წლის განმავლობაში ყოველი პატიოსნება, კეთილ-სინდისიერება, ჭეშმარიტი პატრიოტიზმი, სამშობლოს სიყვარული და ნამდვილი სიმართლე ძალმომრეობის ფეხქვეშ კნაოდა, იხჩობოდა, კვნესოდა და სულსა ლევდა; პირადი ეგოიზმი, პირმოთნეობა, სიბილწე, ენატანიობა და ქურდ-ბაცაცობა კი მთავრობის ავტორიტეტის კალთის ქვეშ მეფობდა და იქ ჩუმად, ქურდულად ერის ძალას, შემოქმედებითი ნიჭსა და კულტურულ განვითარების სურვილს ხუთავდა, ახჩობდა და სახელმწიფოს კეთილდღეობას ძირს უთხრიდა.

რუსეთის მოულოდნელმა და განუწყვეტელმა დამარცხებამ სასტიკ მზრუნველობითა და ძალმომრეობით შებოჭილი საზოგადოებრივი აზრი ხანგრძლივ ძილისაგან გამოაღვიძა. მკვდრეთით აღდგომილმა საზოგადოებამ ერთხმად ბიუროკრატიაზე მიუთითა და სთქვა, ეგ არის რუსეთის ყველა უბედურების მიზეზიო. მალე პრესსა იქამდისაც მივიდა, რომ ყოველ სტრიქონში ბიუროკრატიას ამათრახებდა. ამავე ბიუროკრატიის დაუწყეს ლანძღვა-გინება არსებულ რეჟიმის ერთგულმა „გრაჟდანინ"-მა და „ნოვოე ვრემია"-მ. ამის შემდეგ ნამდვილ მტრის აღმოჩენა საეჭვო გახდა. ეს ორი გაზეთი ირწმუნებოდა, ვითომ რუსეთის მტერი და ყოველ უბედურების მიზეზი ის „სტოლონაჩალნიკ"-ები იყვნენ, რომელნიც დასაბამიდანვე რუსეთს მართავდნენ. ნამდვილად კი რომელ სახელმწიფოში არ არის ბიუროკრატია! „ჩინოვნიკ"-მოხელეები ყოველ სახელმწიფოში არიან საჭირო: საფრანგეთის რესპუბლიკაში მოხელესა და ბიუროკრატს თითქმის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც მონარქიულ სახელმწიფოში. იგი არსებობს ინგლისშიაც, ოსმალეთშიაც, ჩრდილოეთ-ამერიკაშიაც და ჩინეთშიაც. მართვა-გამგეობის საერთო, საზოგადო ხასიათი აღმასრულებელ ორგანოზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ იმ საზოგადო პრინციპებზე, რომელზედაც ის არის დამყარებული. ის მანქანა, რომელიც სასტიკად და უმოწყალოდ სრესავს საზოგადოებრივ ძალებს, შეიძლება საზოგადოებრივ პროგრესის იარაღად გადაიქცეს, თუ მმართველებს სურვილი და მისწრაფება გამოეცვლებათ; სურვილისა და მისწრაფების გამოცვლა კი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა შეიცვლებიან საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრების საერთო პირობები, როცა მთავრობა მხოლოდ ხალხის სურვილის აღმასრულებელი და სახელმწიფოს უმთავრესი მსახური გახდება. რუსეთის ტანჯვა-წვალების ძირითადი და უმთავრესი მიზეზი თვით ბიუროკრატიაში კი არ არის, არამედ—ამ ბიუროკრატიის უსაზღვრო თვითნებობაში, მის ძალმომრეობაში და არსებულ უკანონობაში. რუსეთის ბიუროკრატიამ თავის თავი მიზნად გაიხადა: ისე გამოდიოდა, თითქო მთავრობა ხალხისთვის კი არ იყო შექმნილი, არამედ, პირიქით, ხალხი—ბიუროკრატიისთვის. მთავრობის იდეამ სახელმწიფოს იდეა განდევნა. შემდეგში მთავრობის იდეა ადმინისტრაციად გარდაიქმნა, ადმინისტრაციამ კი ყველაფერი გადაყლაპა, შთანთქა და სასამართლოცა და კანონმდებლობაც დაიმორჩილა. ადმინისტრაციის თვითნებობამა და ძალმომრეობამ კანონს ყოველივე ძალა და მნიშვნელობა დაუკარგა: კანონები გააუქმა და მის მაგივრად უბრალო ცირკულიარები და განკარგულებანი გაამეფა. ხალხის უმეტესობა ხელში ჩაუგდეს გაკოტრებულ თავად-აზნაურობას, მეოთხე კლასიდან გამოგდებულ მემამულეებს, სამსახურიდან გამოსულ აფიცრებსა და უვიც „ჩინოვნიკ"-ებს. დანარჩენი საზოგადოება, ხელოვნება, მეცნიერება და ბეჭდვითი სიტყვა დაუქვემდებარეს იმ მზრუნველებს, რომელთა აზრით მეცნიერებაც, ხელოვნებაც, ბეჭდვითი სიტყვაც, საზოგადოებრივი აზრიცა და პროგრესიც სულ მეტი და მავნე ბარგია.

ისედაც ღატაკსა და უვიც ხალხს ორჯერ და სამჯერ იმაზე მეტს ართმევდნენ, ვიდრე სახელმწიფოსთვის იყო საჭირო. ამ მილიონებს სულ უბრალოდ და ფუჭად ჰყრიდნენ იმ მანჯურიაში, ჩინეთის რკინის გზაზე და ქალაქებზე, რომელნიც ეხლა იაპონელებს დარჩათ. დაყრუებული ხალხი კი იმ დროს ჩუმად და გაუნძრევლად იყო. მერე კი, როცა იმას ცოტა ხმის ამოღების ნება მიეცა, ყრუდ ამოიკვნესა და თავდაბლად, მოკრძალებითა და მოწიწებით იწყო ვედრება. ბოლოს იგი მტკიცედ და ცხადად დარწმუნდა, რომ „ასე ცხოვრება აღარ შეიძლება".

„შორეულ აღმოსავლეთში უბედურ ომით შექმნილი შეგნება თანდათან იპყრობს იმ მთავრობასაც, რომელმაც ეხლა გაუბედავად თვალები გაახილა და თავის ხანგრძლივ „შრომის" ყველაფრის დამხშობ სისტემის ნაყოფი დაინახა.

ეხლა შეუძლებელია, რომ ევროპის უდიდესი სახელმწიფო, 140 მილიონ კაცის ბედი პოლიციისა და კანცელარიების საშუალებით განაგონ. საზოგადოების ცოცხალ და შემოქმედ ძალთა დევნამ და ხალხის განათლების ხელოვნურად შეფერხებამ რუსეთის ერს გონებრივი, ზნეობრივი და კულტურული ზრდა შეაჩერა, შეაფერხა, საზოგადოებაში განუწყვეტელი, მუდმივი უკმაყოფილება, პროტესტი გააჩინა და ბოლოს იქამდის მიიყვანა 140 მილიონი ხალხი, რომ იგი პატარა იაპონიამ დაამარცხა და დიდად შეასუსტა.

საჭიროა, დაუყონებლივ საჭიროა ამ უბედურ მდგომარეობის მოსპობა. საამისო გზა კი საზოგადოებამ უკვე აღმოაჩინა ამ უკანასკნელ ხანებში, როდესაც მას მიენიჭა თავისუფალი ლაპარაკის უფლება,—საზოგადოებამ უნდა მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. საუბედუროდ მხოლოდ ის არის, რომ ბიუროკრატია არ არის თანახმა აღიაროს თავისი უვარგისობა, აიღოს ხელი საზოგადოების აპეკუნობაზე და რომ მას საზოგადოდ არ შეუძლია თავისი თვითნებობა თვითონვე შეზღუდოს...

ა.

2, 9, 16, 23

მკითხველი ადვილად მიხვდება ეპისკოპოსის სიტყვების სიცრუეში ან სინამდვილეში,—მის შესახებ არა ერთი და ორი წერილი იყო დაბეჭდილი რუსულ გაზეთებში და ამიტომ თვით გაზეთ „რუსსაც" უთუოდ შეეძლო შეეტყო დანამდვილებით, თუ ვინ იყო ამ საქმეში უფრო სანდო—დიმიტრი თუ ნ. დ., რუსების ცნობილი მწერალი?

და აი ახლა რა სიტყვებს უძღვნის რედაქცია ეპისკოპოზის თავის გასამართლებელ წერილს:

> „დიდის სიამოვნებით ვბეჭდავთ ეპისკოპოსის წერილს საპასუხოდ ნ. დ. წერილისა, რომელშიაც იყო გამოხატული ქართველთა ეკლესიის უნუგეშო მდგომარეობა. განსაკუთრებით სასიამოვნოა ქართველ ეპისკოპოსისაგან გაგონება რუს-მონოზნების ჭეშმარიტად ქრისტიანულ მოქმედების ქება ბოდბის წმ. ნინოს მონასტერში. უნდა ვიფიქროთ, რომ ბ-ნი ნ. დ., რუსის მოღვაწე, დიდი მომხრე ქართველთა მართლმადიდებელ ეკლესიისა, შეცდომაში შეიყვანეს, მისმა ქართველმა კორესპონდენტმა. მოვისმინოთ კიდევ ეპ. დიმიტრის წერილზე სხვისი პასუხიც, ვინაიდან ეპისკოპოსი, როგორც ეტყობა, ვერ ახასიათებს რიგიანად ქართველ ეკლესიის ნამდვილ მდგომარეობას.

ერთის სიტყვით, გაზეთს უხარიან, რომ კავკასიაში გადმოსახლებული რუსები შრომობენო, უხარიან რომ ეპისკოპოსი წერილს ჰბეჭდავს და სიამოვნებით უთმობენ ადგილს ამ წერილებს, თუმცა იცის, რომ ბ-ნი ნ. დ. არა სტყუის და რომ ქართველი საზოგადოება გადაკიდებულია მასზე მის მოღვაწეობის გამო, რომელიც მან დაასრულა ამ ცოტა ხნის წინად.

—

თავად-აზნაურთა წინამძღოლები მოსკოვში მომხდარ კრებაზე როგორც მოსალოდნელი იყო, ორ სკამს შუა ჩასხდნენ და დაადგინეს: რუსეთში კონსტიტუცია უნდა იქმნეს შემოღებული, მაგრამ ისეთი კი, რომ თვითმპყრობელობა სულ არ შეიზღუდოსო. ამ ორპირმა პოლიტიკამ არავინაც არ დააკმაყოფილა. „გრაჟდანინ"-ი და „მოს. ვედ."-ი მეხივით დაატყდნენ თავზე იმ თავად-აზნაურობას, რომელიც, „მათის აზრით, არსებულ რეჟიმის უმთავრესი ბურჯი უნდა იყოს როგორ,—კაპასობს „მოსკ. ვედ."-ი,

> ამას გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლნი შეუზღუდველ თვითმპყრობელობას ეძახიან!
>
> განა ისინი კონსტიტუციის მომხრენი არიან? თუ თქვენ ნამდვილი თავად-აზნაურები ხართ, უნდა გამოტყდეთ და გულახდილად, პირდაპირ აღიაროთ, რომ თქვენ თვითმპყრობელობის შეზღუდვა გინდათ.

გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლების მიერ მოტყუებულ „მოსკ. ვედ."-ს მაზრის წინამძღოლთა იმედი აქვს:

> თქვენ, მაზრის წინამძღოლნო, თუ თქვენ მაინც თვითმპყრობელ ხელმწიფის მომხრენი ხართ, პირდაპირ და გადაჭრით აღიარეთ, თუ არა და, ნურც მაშინ იცრუებთ.

იმედია, მაზრის წინამძღოლნი „მოსკ. ვედ."-ს ამაში მაინც გაუგონებენ, გუბერნიის წინამძღოლებივით ორ სკამს შუა არ ჩასხდებიან და გარკვეულ პოზიციას დაიჭერენ.

—

დაგვიანება არ შეიძლება,—გადაჭრით ამბობს ცენტრის ორგანო „სლოვო" და მთავრობას ურჩევს, საერო კრებას თავი დაანებე, რადგან

> რუსეთის შინაური ცხოვრება საოცარის სისწრაფით მიჰქრის. ბიუროკრატიას არ შეუძლიან ამ ცხოვრების შეჩერება. მან ნათლად და მკაფიოდ დაამტკიცა თავის პოლიტიკური უძლურება. ყველა, ვისაც კი ისტორიულ მოვლინებისა ესმის რამე, ნათლად ხედავს, რომ დღეს-ხვალ რუსეთში მეხი დაიჭექებს და მთელ სახელმწიფოს ცეცხლი მოედება.

ძველი ამბავია! ამაზე ლაპარაკი ყველას მოსწყინდა. მარტო ლაპარაკით არაფერიც არ გაკეთდება. ბიუროკრატიას დარიგება, სიტყვა და მუქარა არ ესმის.

პიროგოვის კრების უკანასკნელი სხდომა მოსკოვში.

ვბეჭდავთ. გაზ. „მოსკოვსკია ვედომოსტიდან" ამ სხდომის ანგარიშს.

სადამოს სხდომაზე 23 მარტს დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი, სულ 3000 კაცზე მეტი იყო. ექიმებს გარდა, მრავლად მოსჩანდა სტუდენტობა და ქალები, ძლიერ ბევრი იყო აგრეთვე სხვადასხვა ეროვნების პირები.

ამ „დიდს შესანიშნავ" სხდომაზე გამოჩნდა ნათლად კრების მეთაურთა ნამდვილი სურვილები, აშკარა შეიქმნა, რომ მათ მხოლოდ და მხოლოდ საპოლიტიკო მიზნები ჰქონდათ.

ამ კრებაზე პირდაპირ გამოაცხადეს, რომ დრო არის, ახლა შევუდგეთ **საქმესო**, ვინაიდან ყველაფერი, რასაც დღემდის ვლაპარაკობდით, დროს გატარება იყო, იმასთან შედარებით, რაც ახლა უნდა გადავწყვიტოთო.

და აი, დაიწყო ეს საქმეც, რომელშიაც დამსწრე საზოგადოებამაც მიიღო მონაწილეობა...

ოფიციალურად გამოაცხადეს პოლიტიკური რეზოლუცია, შემუშავებული ექიმთა კერძო კრებაზე 20 მარტს... ამ რეზოლუციების ძალით ითხოვდნენ დამფუძნებელ კრების მოწვევას და ომიანობის დაუყოვნებლივ მოსპობას...

ყველა რეზოლუციას აღტაცებით ეგებებოდა კრება. ამ რეზოლუციებში, სხვათა შორის, იყო ასეთიც: ექიმები ნუ მიიღებენ მონაწილეობას ხოლერის საწინააღმდეგო სასანიტარო აღმასრულებელ კომისიებში.

ყველა დამსწრემ გადასწყვიტა, ყოველივე საშუალებით ეცადონ რეზოლუციების გავრცელებას რუსეთში.

შემდეგ თავმჯდომარემ შემოიტანა წინადადება იმის შესახებ, რომ დაარსდეს ექიმთა სრულიად რუსეთის კავშირი არსებულ სახელმწიფო წეს-წყობილების საწინააღმდეგო ბრძოლისათვის და კონსტიტუციის შემოსაღებად.

ამ წინადადებას ერთხმად გამოუცხადა თანაგრძნობა დამსწრე საზოგადოებამ, ამის წინააღმდეგი არც ერთი კაცი არ გამოსულა.

ამის შემდეგ სამეურნეო საზოგადოების თავმჯდომარის თანაშემწემ წაიკითხა ბეათალთა რეზოლუცია, რომელშიაც გამოთქმულია ისევე ის, რაც ექიმებმა გადასწყვიტეს ამ უკანასკნელ კრებაზე, მხოლოდ უფრო მკაფიოდ და ცხარედ.

ექიმი დ. ი. დორფი სტუდენტების სახელით კითხულობს ნამდვილ პროკლამაციას, რომელიც სრულდება სიტყვებით: ძირს თვითმპყრობელობა!

ამ უკანასკნელ სიტყვებს აჰყვა დამსწრე სტუდენტობა და საზოგადოების ერთი ნაწილიც და კონსერვატორიის დარბაზში გაისმის იგივე ხმები: „ძირს თვითმპყრობელობა! რესპუბლიკას გაუმარჯოსო"!

ხალხი რომ დაწყნარდა, თავმჯდომარემ გამოაცხადა, კრებამ შეასრულა თვისი დანიშნულება და ამიტომ ეხლა ვხურავთ.

ზოგიერთს გაუკვირდა, რად იხურება კრებაო. ექიმმა დორფმა განმარტა: კრება ჩვენ გავხსენით და ჩვენვე დახურული უნდა იყოსო ახლა.

რუსეთი

—

მოსკოვში პიროგოვის კრებაზე 1000-მა ექიმმა ერთხმად დაადგინა: აწ არსებულ წესწყობილების გამო რუსეთში კულტურული და მშვიდი მუშაობა შეუძლებელია. ადმინისტრაციის უსაზღვრო ძალმომრეობასა, ფინანსების უთავბოლოდ ფლანგვასა და დაპყრობის ავანტიურაზე დამყარებულმა პოლიტიკამ მთელი რუსეთი უმაგალითოდ გაალატაკა და ჩვენთვის შორეული და უცხო მანჯურია ძვირფას სისხლით მორწყო. რუსეთს საშინელი უბედურება—ხოლერა მოელის. მერე რას შვრება ამ დროს ბიუროკრატია? იგი, ერთის მხრით, გვთხოვს, ხალხი დაარწმუნეთ, რომ დროებითი წესების შემოღება სასარგებლოა, მეორე მხრით კი, ამავე ხალხში უგუნურ ხმებს ავრცელებს და გაუნათლებელ ბრბოს გვისევს. სრულიად სახელგატეხილმა ადმინისტრაციამ ხოლერასთან ბრძოლა თვითონ იკისრა, ჩვენი კრება აკრძალა და ხოლერასთან ბრძოლის საშუალების შემუშავების ნება არ მოგვცა. ძალდატანებით და ძალმომრეობით ჩვენი კრების დაკეტვამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ, სანამ ადმინისტრაციის თვითნებობა არ მოისპობა, ოცნებაც კი არ შეგვიძლიან შესახებ ნორმალურ საექიმო შრომისა და საზოგადოთ ცხოვრების ნორმალურ პირობებისა.

შემდეგ ჩამოთვლილია უკიდურესი რადიკალური მოთხოვნილებანი: სახელმწიფო ბეგრის სისტემის ძირიან-ფესვიანად შეცვლა, თავისუფლება გაფიცვისა, მუშათა დაზღვევა, 8 საათი სამუშაო დღე, ეროვნული და სარწმუნოებრივი თავისუფლება, ეკლესიის განშორება სახელმწიფოსგან, მიწის სოციალიზაცია და სხ. და სხ. (ს. ო.).

ახალი თანამდებობა. ქალაქ სუდოგდაში ფოსტაში ჩვეულებრივი მოხელეები დაუთხოვნიათ და იმათ ალაგას პოლიცია და ჟანდარმები დაუყენებიათ. ახალი მოხელენი ფოსტის გარჩევის დროს მეტის-მეტად ცნობისმოყვარეობას იჩენენ: საეჭვო წერილებს ხსნიან, კითხულობენ, ყველაფერს ათვალიერებენ, ყუთებს ამტვრევენ და სხ. (ს. ო.).

ვის უნდა დავუჯეროთ—უმაღლეს რესკრიპტსა თუ გუბერნატორს? 18 თებერვლის რესკრიპტის ძალით რუსეთის ყველა ქვეშევრდომთ ნება აქვთ შეიკრიბნენ, თავიანთი სიჭიროება გამოარკვიონ და ბულიგინის კომისიას გაუგზავნონ. ორიოლის გუბერნატორს ეს განკარგულება უკანონოდ უცვნია და ადგილობრივ საზოგადოებათა გამგეობებისათვის შემდეგი ბრძანება გაუგზავნია: ამით გაუწყებთ, რომ 18 თებერვალს უმაღლეს რესკრიპტით ნებადართული კრებები და სახელმწიფო წეს-წყობილების შეცვლის შესახებ ლაპარაკი აკრძალულია (რ. ვ.).

ისევ ძველი წესი სჯობნებია. ორიოდე თვის წინად უმაღლეს ბრძანებით მოსკოვის გენერალ-გუბერნატორობა გაუქმდა. მაგრამ ეხლა უმაღლეს მთავრობას აღმოუჩენია, რომ ისევ ძველი წესი სჯობია და ამიტომ მოსკოვში გენერალ-გუბერნატორობის შემოღებას ხელმეორედ აპირობს. ზოგი ამბობს, ამ ადგილზე თავ. ვასილჩიკოვს დანიშნავენო, ზოგი—განთქმულ ადმირალს ალექსეევსო (რ. ვ.).

სინოდის ობერ-პროკურორს, ცნობილ პობედონოსცევს სამსახური აღარ უნდა. ამის მიზეზი ის არის, რომ ეკლესიამ და სინოდმა დაჟინებით მოითხოვეს, ჩვენც თავისუფლება გვინდა და ბიუროკრატიასა და პოლიციას აღარ ვემსახურებითო. იმ პობედონოსცევს, რომელმაც ეკლესია ადმინისტრაციას დაუქვემდებარა და ყველა სასულიერო მამას პოლიციის სამსახური დააკისრა, ეკლესიის თავისუფლება არ მოეწონებია და „სახელმწიფო" სამსახურს თავს ანებებს (რ. ვ.).

პეტერბურგის მუშები არ დაცხრნენ და ისევ ღელვა დაიწყეს. 22 მარტს პალის ქარხნის მუშებმა იქვე გზაზე მიმავალ პოლიციელთა რაზმს ქვები და ბოთლები დაუშინეს და 12 პოლიციელი მსუბუქად დასჭრეს, 1—მძიმედ (რ. ვ.).

ვარშავის საპყრობილეში დარაჯებმა ერთი პატიმარი მუშა ცემით მოკლეს. მოკლულ ამხანაგის სასაფლაოზე გასაცილებლად საპყრობილესთან აუარებელი მუშა შეიკრიბა, მაგრამ ადგილობრივმა მთავრობამ კაზაკები და ჯარი გამოიწვია და მოკლულ ამხანაგის მომლოდინე მუშებს მიუსია. შეტაკების შემდეგ ბრძოლის ველზე 11 დაჭრილი და 4 მოკლული მუშა დარჩა (რ. ვ.)

მამაშვილური დარიგება. ამ რამდენსამე თვის წინად პოლიცია და მთავრობა აღელვებულ გლეხებს მათრახებითა და თოფებით ხელადვე დაამშვიდებდნენ ხოლმე. ასე დაამშვიდეს ამ ორიოდე წლის წინად ჩერნიგოვისა, ხარკოვისა და პოლტავის გუბერნიების გლეხები. ეხლა იმავე გუბერნიაში გლეხთა მოძრაობამ ხელმეორედ იჩინა თავი. პოლტავის გუბერნატორმა სოფლის პოლიციას დარიგება გაუგზავნა, როგორ უნდა დაამშვიდოთ გლეხებიო, და, სხვათა შორის, ურჩია: გლეხთა შორის პროპაგანდას წინააღმდეგობა პროპაგანდითვე გაუწიეთ; საჭიროა, რომ სამღვდელოება, პოლიცია და საერობო მთავრობა ერთად შეერთდნენ, ერთმანეთს ძმურად ხელი გაუწოდონ, გლეხებში პატრიოტული ქადაგება დაიწყონ და ყველას აუხსნან, რომ 18 თებერვლის მანიფესტის ძალით ყველა მოვალეა მთავრობას დაემორჩილოსო (რ. ვ.).

პეტერბურგში, საზღვაოს ქუჩაზე, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის **დურნოვოსა** და **პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორის** გენერალ-მაიორის დ. თ. **ტრეპოვის** სადგომის მახლობლად, საიდუმლო პოლიციის აგენტებმა (ჯაშუშებმა) შენიშნეს, რომ ხშირ-ხშირად, ყოველდღე მოდიოდა კარგად ჩაცმული ვიღაც უცნობი კაცი და აქაურობას ათვალიერებდა. 17 მარტს ერთი ჯაშუში მიუახლოვდა და უთხრა,—ვის ელოდებიო. უცნობმა რევოლვერი ამოიღო, გულზე მიახალა და მძიმედ დასჭრა. მოცვივდნენ საიდუმლო პოლიციის სხვა აგენტები და ბოქაულის თანაშემწე. უცნობმა ამათაც ესროლა რევოლვერი და დასჭრა საიდუმლო პოლიციის ორი აგენტი და ბოქაულის თანაშემწე. ტრეპოვისა და დურნოვოს სახლს საიდუმლო პოლიციის აუარებელი აგენტები იცავენ; დაუყოვნებლივ გაჩნდა რამდენიმე მათგანი იმ ადგილას, სადაც ეს ამბავი მოხდა; დაიჭირეს უცნობი ყმაწვილი და იარაღი წაართვეს. ბოქაულის თანაშემწე გრძნობა-დაკარგული წაიყვანეს. მსროლელმა პირველ ჩვენების ჩამორთმევაზე თავისი ვინაობა არ დაასახელა და მხოლოდ ეს განაცხადა: „ნეტა როგორ გასჭრა ჩემმა ტყვიამ ჯაშუშებსა და ბოქაულის თანაშემწეზეო?" ამბობენ, უცნობს უნდოდა მოეკლა პეტ. გენ.-გუბ. ტრეპოვი ან შინ. საქმ. მინ. ამხანაგი დურნოვო (ს. ოტ.).

რუს-ვაჭრებს კრედიტი მოუსპეს. ინგლისისა და გერმანიის დიდრონ სავაჭრო ფირმების წარმომადგენლებმა მოსკოვის ვაჭრებს განუცხადეს: რადგანაც რუსეთმა ომი უკვე წააგო და მის გამარჯვებაზე ფიქრი შეუძლებელი ხდება, საზღვარგარეთის ბანკები ამიერიდან კრედიტს ვეღარ მოგცემენო. ომის წაგებას რომ თავი დავანებოთ, რუსეთის შინაგანი ცხოვრებაც ისე არეულია, რომ დღე-დღეზე არისო მოსალოდნელი რევოლუციაო („ვეჩ. პოჩ.").

კორესპონდენცია

—

სოფ. საგარეჯო (გარე-კახეთი, ტფილისის მაზრა). სოფ. საგარეჯოს ცხოვრებას ახალი ხანა დაუდგა. ამ ორი-სამი თვის ამბებმა—გლეხების მოძრაობამ გურიაში და ქართლში—საგარეჯოლებიც გამოაფხიზლა საღათას ძილისაგან, დააკვირვა ცხოვრებას, ალაპარაკა, აამოძრავა და დააყენა ისეთ გზაზე, რომლიდანაც მისი გადაყენება რეპრესიულის ზომებით ყოვლად შეუძლებელია. ამათაც შესწყვიტეს ყოველივე კავშირი ადმინისტრაციასთან და ყველა საქმის მოწესრიგებას თითონ ადგიან. წარსულ კვირას თავიანთ ჭირ-ვარამის გამოსარკვევად ხელმეორედ თავი მოიყარა 5,000-ზე მეტმა კაცმა. დაიწყეს ეკლესიის ზარების რეკა, მოიხადეს ქუდები, შეჰფიცეს ერთმანეთს „ძმობა-ერთობაზე" და ეს ამოდენა ხალხი გაემართა აღინჯის ტყეში, და გაკაფა იგი (ეს ტყე სოფელს ჰქონდა მიზომილი მთავრობისაგან მინდვრის ნაცვლად—მერე კი ჩამოაცალეს). მერე დაიჭირეს ხელში კეტები და ბაირაღი, გაემართნენ სასწავლებლისაკენ, სადაც ჯერ მშვიდობიანად დაითხოვეს მასწავლებლები (ამათში ორი რუსია, ერთი ქართველი) და მერე ჩალეწეს სკოლის ფანჯრის მინები; მერე გაიარეს სოფლის ბაზარი. შეუცვივდნენ ვაჭრებს, დაუხიეს მათ სავაჭრო მოწმობები (პატენტები) და ბოლოს გაემართნენ აქციზის მოხელეებთან, მაგრამ ესენი შინ არ დაუხვდნენ.

გლეხნი თხოულობენ: არა-პირდაპირ გადასახადების მოსპობას, სკოლებში სამშობლო ენაზე სწავლებას, მღვდლების დრამების შემცირებას, აქციზის მოსპობას, გადაეცეთ მათ მთელი საადგილ-მამულო საკუთრება, რომელიც კი სოფლის ტერიტორიაზე იმყოფება, და მრავალი სხვა. გლეხებმა თავიანთი მოთხოვნილებანი მაზრის უფროსს გადასცეს, რომელიც ბოქაულთან ერთად სოფელში მოვიდა, და პასუხს ელიან.

მოძრაობა გლეხებისა სოფ. პატარძეულს, ნინოწმინდას, გიორგი-წმინდასა და ხაშმშიაც არის.

დიმ. მ—ლი.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

29 მარტი.

პეტერბურგი. გარეშე საქმეთა მინისტრმა გადასცა აღმასრულებელ კომისიას პავლოვის დეპეშის პირი, 17 მარტს პორტ-არტურიდან (?) გამოგზავნილი, შემდეგის შინაარსისა: «პორტ-არტურიდან მოვიდა ექიმი ბუნგე და სთქვა, პორტ-არტურში ერთი აფიცერი და ორმოცი დაბალი ჯარის-კაცია ჭკუაზე შეშლილებიო; ისინი ცალკე გემით უნდა გაიგზავნონ ჩიფუდან პირდაპირ ოდესამდე და მათთან მყოფი სათნოების დებიც გააყოლონო. რადგან შეშლილების გაგზავნა დაქირავებულ გემით შეუძლებელია, ვფიქრობთ სახაზინო გემი «ვამპოა» გამოვითხოვოთ და საფრანგეთის კონსულის შუამავლობით იაპონელებს ვთხოვოთ, რომ მალე მოიყვანონ შეშლილები ჩიფუს და აქედან ოდესას გამოვგზავნოთ».

ვაშინგტონი. ადმირალ ტრაინს, ფილიპეს კუნძულების ესკადრის უფროსს, ბძანება გაეგზავნა ფილიპეს კუნძულებზე ნეიტრალიტეტი დაიცვას, თუ რომ რუსეთისა და იაპონიის ესკადრებს ბრძოლა მოუხდათ ზღვაზე, და ამერიკელების გემებსაც მფარველობა გაუწიოს.

მანილა. შეერთებულ შტატების კონსული იუწყება სინგაპურიდან: 6 სამხედრო და სხვა გემები მანილასკენ მოდიანო. კრეისერი «რალეი», ორი ნაღმოსანი და ერთიც სურსათის გემი გაიგზავნა კუნძულ პალავრის დასავლეთ ნაპირისკენ სადარაჯოდ და ნეიტრალიტეტის დასაცველად. სამი ნაღმოსანიც წასასვლელად მზადდებაო.

ჰონკონგი. «დეილი მეილის» კორესპონდენტს ნამდვილად გაუგია, რომ ბალტიის ესკადრა საფრანგეთის ნავთსადგურს საიგონს მიდისო.

ბერლინი, 28 მარტი. ინგლისის მეზღვაურნი ჰფიქრობენ, როჟესტვენსკი საფრანგეთის ნავთსადგურ საიგონს მივა, გემებს შეაკეთებს და ესკადრას საომრად გააწყობსო, მაგრამ იაპონიის ფლოტი ეცდება ეხლავე შეებრძოლოსო.

ლონდონი, 28 მარტი. სინგაპურიდან დეპეშით იუწყებიან, სწორედ შვიდმა რუსის ჯავშნოსანმა გაიარაო. ეს მტკიცდება ნავთ-სადგურის ცნობით და იაპონიის კონსულის მოხსენებით, რომელიც ორთქლმავალით ზღვაზე გავიდა და რუსების გემებს ათვალიერებდა.

ჰონკონგი. იუწყებიან, აქაური ვაჭრები დიდძალ სურსათს რომ ამზადებენ, ეგ იმის ნიშანია, რომ ბალტიის ესკადრის სანახშირო გემები დინგო-გარსიოში მიდიანო.

ტოკიო. უწინარეს იაპონელების მზვერავ გემებს დაუნახავთ ბალტიის ესკადრა. გაზეთები აქებენ რუსების გემების გაბედულობას. ოპოზიციელთა მეთაური ოკუმა ამბობს, იაპონიის გარემოება ხელს უწყობს, რომ რუსეთს ავის პირობები მიაღებინოსო. მცოდნე და გავლენიანი ფინანსისტები ამბობენ, იაპონიამ კონტრიბუციად ორი მილიარდი იენი უნდა მოითხოვოსო.

ჰააგა. გაზეთი „ფადერლანდი" ამბობს, ის გარემოება, რომ რუსეთის ესკადრა ბატავიის ახლო არის, არავისთვის შესაწუხებელი არ უნდა იყოს, ვითომც ნეიტრალიტეტი ირღვევაო. ის ამბავი, ვითომც რუსები ჰოლანდიის კუნძულზე ბინას ეძებენ, უსაბუთოაო.

გოძიანი, 28 მარტი. აღმოსავლეთის ფრთაზე შენიშნეს დასავლეთად ქვეითი ჯარის რაზმი, გირინის გზით მიმავალი. შენიშნეს ცაღუშენის დასავლეთად ქვეითი ჯარი, არტილერია და კავალერია. ჩვენმა თავისუფალ რაზმებმა ხუნხუზები გაჰფანტეს ლიაოხეს ხეობაში. სიცივე დაიჭირა.

სიტიაზი, 27 მარტი. შესამჩნევი ბრძოლა არა ყოფილა. მტრის მოწინავე რაზმები მზვერავებსა ჰგზავნიან. მცირე შეტაკება ხშირია. სადგური შამანძაძი ხან იაპონელებს რჩებათ, ხან ჩვენებს. ეს ორი დღე ქარიშხალია.

29 მარტი.

ყაზანი. ბირჟის კომიტეტს წინადადება მოუვიდა ფინანსთა სამინისტროსაგან, ორი წარმომადგენელი აარჩიოს, რომლებმაც მონაწილეობა უნდა მიიღონ მომუშავეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად შემდგარ კომისიაში.

რეველი. მომუშავეებმა მათრობელი სასმელები აჰკვეთეს.

ჯულფა. თავრიზიდან იუწყებიან, ქალაქსა და პროვინციაში მშვიდობიანობაა. მღელვარება სომხების წინააღმდეგ დაწყნარდა.

ბელგრადი. ბერძენთა დასი, 25 კაცისაგან შემდგარი, დაბა ზაგორიჩანს დაეცა, სამხრეთ მაკედონიაში, მოჰკლა მღვდელი, მასწავლებელი და რამდენიმე სახელოვანი ბულგარელი. დაბას ცეცხლი წაუკიდა და სულ გადაბუგა. ამბობენ, ეს თავგანწირულ ბრძოლის დასაწყისიაო.

რომი. იმპერატორს ვილჰელმსა და მეფე ვიქტორ-ემანუილს საერთო მოკითხვის დეპეშა გაუგზავნიათ ავსტრიის იმპერატორისთვის.

მესინა. იმპერატორი ვილჰელმი კორფუს წავიდა.

იოჰანესბურგი. მკვიდრი მცხოვრებნი პეტიციას აძლევენ მეფეს, კონსტიტუციის შემუშავების დროს ჩვენი უფლებანი არ შეილახოსო.

მენტონა. ბულგარიის მთავარი რომს წავიდა.

ალჟირი. კვირას უჯაში, ფრანგ-მაროკოს საზღვარზე, საშინელი ბრძოლა ჰქონდათ ხონთქრისა და ტახტის მაძიებლის ჯარებს. საფრანგეთის არტილერია ჩაერია და აჯანყებულები გაფანტა. მაძიებლის ჯარში მოკლულია 100 და დაჭრილია მრავალი. ხონთქრის ჯარში 30 მოკლული და დაჭრილია.

პარიზი. ამ ზაფხულს საფრანგეთის ესკადრა გიბრალტარს წავა, სადაც ინგლისის ესკადრა დახვდება. დიდი დღესასწაულობა ექმნებათ.

ლოძი, 28 მარტი. ვიღამაც მოკვლა მოუნდომა პოზნანსკის ფაბრიკის დირექტორს. ფაბრიკის დირექტორი ინგლისელი ინჟინერი რედილიფი ზურგშია დანით დაჭრილი. ბოქაულ შტალოვიჩის მკვლელი, რომელიც ისე მძიმედ დაიჭრა, რომ გარდაიცვალა კიდეც, მჭედელი ყოფილა, ებრაელი შეგირდი.

პეტერბურგი, 28 მარტი. სამეცნიერო აკადემიამ მოიწონა დასკვნა იმ კომისიისა, რომელსაც პრინცი ოლდენბურგელი თავმჯდომარეობს და რომელსაც სამეცნიერო აკადემიისგან მინდობილი აქვს პრესის თავისუფლების შესახებ საქმის შემუშავება. კომისია ერთხმად იმ აზრს დაადგა, რომ პრესის შევიწროებას დიდი ვნება მოაქვს საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის, და დაადგინა, თავისი გარდაწყვეტილება წარუდგინოს ბეჭდვითი სიტყვის შესახებ კახანოვის შემმუშავებელ კომისიას, რომელსაც კობეკო თავმჯდომარეობს.

ლონდონი, 29 მარტი. (რეიტერი). ხაზინის კანცლერმა ოსტინ ჩემბერლენმა საზოგადოებათა პალატაში ბიუჯეტის პროექტი შეიტანა და განაცხადა, 1904—1905 საფინანსო წლის გადაჭარბებულ საბიუჯეტო თანხას გადარჩა 1.400,000 გირვანქა სტერლინგი.

სოფია, 29 მარტი. მინისტრ-პრეზიდენტმა პეტროვმა განაცხადა, ბულგარიის მთავარი ფერდინანდი ევროპაში მოგზაურობის დროს დარწმუნდა, რომ დიდნი სახელმწიფონი დიდის ყურადღებით ეკიდებიან მაკედონიაში რეფორმების შემოღების საქმესაო. ბულგარია ჩვეულებრივ განაგრძობს მშვიდობის მოყვარეობის პოლიტიკასაო.

რიშტი, 28 მარტი. სპარსეთის შაჰი გილანის გზით ევროპაში მიდის, თეირანიდან 15 [illegible] გამგზავრება.

ტომსკი, 28 მარტი. მცირე-წლოვან დამნაშავეთა ახალშენში ბავშვებმა „ბუნტი" მოახდინეს; ურიადნიკს იარაღი აჰხადეს, დირექტორის სადგომს სროლა დაუწყეს, ჩალეწეს ფანჯრები და დაამსხვრიეს ავეჯეულობა. მოთავენი დაპატიმრეს.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევს 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევს 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № (3 ნაშუადღევს 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევს 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 6) ე. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევს 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

6 **ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 1 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 50 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევს 2 ს. 20 წ. 3 ს. 18 წ.; 4) სამგზავრო № 57 საღამოს ს. 206 წ. (7 ს. 18 წ.)

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გლელიშვილი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტატეოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა.

თვალის სამკურნალო. კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟსკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფლისის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

!! Остерегайтесь поддѣлокъ !!
ГИГІЕНИЧЕСКОЕ
Борно-Тимоловое Мыло
ПРОВИЗОРА
Г. Ф. Юргенсъ.
Уничтожаетъ веснушки, загаръ, желтыя пятна, прыщи, угри и дѣйствуетъ противъ излишней потливости и дезодорирующее. Рекомендуется, какъ благовонное туалетное мыло высшаго достоинства. Золотая медаль, Лондонъ 1893 г. Цѣна за кусокъ 50 коп., 1/2 кус. 30 коп. Продается во всѣхъ лучшихъ аптекахъ, аптекарскихъ и парфюмерныхъ магазинахъ. Главный складъ для всей Россіи Г. Ф. Юргенсъ, въ Москвѣ. (19—მტ.—1)

Денисовскій

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი
„ოდობრინი" მ. ვ. ლებედევისა
ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული, № 22473.
იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.
(0—6.—3)

Дозволено цензурою, Тифлисъ, 29 марта 1905 г
ელ-ექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა" ფრეილინის ქ. № 5.